



საქართველოს ახალგაზრდა ეკონომისტთა ასოციაცია  
**Association of Young Economists of Georgia**

პროექტი ხორციელდება დიდი ბრიტანეთის საექსპლემენტო ორგანიზაცია  
**OXFAM** საქართველოს წარმომადგენლობის მხარდაჭერით



## ეკონომიკა და ბიუჯეტი

პროექტი: “გამჭირვალე ბიუჯეტი”

ბიულეტენი №8

## წინასიტყვაობა

წინამდებარე ბიულეტენი, „ეკონომიკა და ბიუჯეტი“, მომზადებულია საქართველოს ახალგაზრდა ეკონომისტთა ასოციაციის მიერ პროექტის “გამჭირვალე ბიუჯეტის” ფარგლებში, დიდი ბრიტანეთის საქველმოქმედო ორგანიზაციის “ოქსფამის” საქართველოს წარმომადგენლობასთან პარტნიორობით. პროექტის მიზანია საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტის, ქალაქ ბათუმის ბიუჯეტის მონიტორინგის გზით ქვეყანაში სახელმწიფო ფინანსების ხარჯვის საჯაროობისა და გამჭვირვალობის დონის უზრუნველყოფა და ზეგავლენა საბიუჯეტო პროცესებზე.

ბიულეტენი მომზადებულია საქართველოს ფინანსთა სამინისტროს, ფინანსთა სამინისტროს სახაზინო სამსახურის, საქართველოს სტატისტიკის დეპარტამენტის, საქართველოს ეროვნული ბანკის, ქალაქ ბათუმის მერიის ეკონომიკის სამსახურისა და საფინანსო განყოფილების მასალებზე დაყრდნობით.

## *შინაარსი*


1. საქართველოს მაკროეკონომიკური მაჩვენებლები .....	4
2. საქართველოს 2005 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შემოსულობების ექვსი თვის შესრულების მონიტორინგის შედეგები.....	19
3. საქართველოს 2005 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის ბალანსადელების ექვსი თვის შესრულების მონიტორინგის შედეგები.....	40
4. 2006-2009 წლების ძირითადი მონაცემებისა და მიმართულებების მოკლე მიმოხილვა.....	61
5. ქ. ბათუმის 2005 წლის აღბიღობრივი ბიუჯეტის 6 თვის შესრულების მონიტორინგი.....	66
6. ხარჯების საშუალოვადიანი დაგეგმარება – MTEF .....	73
დანართი.....	90

## 1. საქართველოს მაკროეკონომიკური მაჩვენებლები

2005 წლის 6 თვეში საქართველოს ნომინალური მთლიანი შიდა პროდუქტი წინასწარი მონაცემებით შეადგენს 5,1 მილიარდ ლარს. მიმდინარე წლის 6 თვეში წინა წლის ანალოგიურ პერიოდთან შედარებით ნომინალური მთლიანი შიდა პროდუქტი გაიზარდა 12 პროცენტით, ხოლო 1997 წელთან შედარებით ფაქტობრივად გაორმაგებულია.

უნდა აღინიშნოს, რომ საქართველოში ბოლო სამი წლის განმავლობაში მნიშვნელოვანი ზრდის ტენდენცია ჩამოყალიბდა. კერძოდ, 2002-2004 წლებში რეალური მთლიანი შიდა პროდუქტის საშუალო წლიურმა ზრდამ 8,3 პროცენტი შეადგინა. მთლიანი შიდა პროდუქტის განსაკუთრებული ზრდა აღინიშნებოდა 1997 და 2003 წლებში. ნომინალური მშპ 1996 წლიდან 2004 წლამდე ფაქტობრივად გასამმაგდა, ხოლო რეალური მშპ კი გაორმაგებულია (იხ. დიაგრამა №1). საქართველოს სტატისტიკის დეპარტამენტის ინფორმაციით 2005 წლის ბოლოსათვის მთლიანი შიდა პროდუქტი დაახლოებით 11,2 მილიარდ ლარს მიაღწევს.

დიაგრამა №1. საქართველოს მთლიანი შიდა პროდუქტი 1997-2005 წლები



1997 წელს ადგილი ჰქონდა რეალური მთლიანი შიდა პროდუქტის 11 პროცენტთან ზრდას (იხ. ცხრილი №1). რუსეთის საფინანსო კრიზისის შედეგად 1998 წლიდან მკვეთრად ეცემა ეკონომიკური ზრდის ტემპი. რეალურ მშპ-ს ზრდამ 1998 წელს მხოლოდ 3 პროცენტი შეადგინა, ხოლო 2000 წელს კი 2 პროცენტამდე დაეცა. მხოლოდ 2003 წელს მიაღწია ეკონომიკურმა ზრდამ 1997 წლის მაჩვენებელს, თუმცა 2004 წელს ინფლაციის მაღალი დონის გამო რეალური მშპ-ს ზრდა კვლავ შემცირდა და 8 პროცენტი შეადგინა.


**ცხრილი №1. საქართველოს რეალური მთლიანი შიდა პროდუქტის ზრდა 1997-2004 წლებში**

(პროცენტებში)


	1997	1998	1999	2000	2001	2002	2003	2004
რეალური მშპ-ს ზრდა	11	3	3	2	5	6	11	8

2004 წლის მშპ-ის ზრდაში მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანეს მრეწველობის, ვაჭრობისა და კავშირგაბმულობის დარგებმა. ამ სამმა დარგმა განაპირობა მშპ-ის 4,4 პროცენტით ზრდა. ამავე დროს ეკონომიკურ ზრდაზე უარყოფითი გავლენა მოახდინა სოფლის მეურნეობამ. 2004 წელს ამ დარგში არსებულმა ჩავარდნამ მთლიანი შიდა პროდუქტის 1,5 პროცენტით შემცირება გამოიწვია. 2004 წელს მრეწველობის დარგში შექმნილი დამატებული ღირებულება 12,2 პროცენტით გაიზარდა. ამავე დროს უნდა აღინიშნოს, რომ გასული წლის განმავლობაში არაერთგვაროვნად ვითარდებოდა მრეწველობის ცალკეული სფეროები. გადამამუშავებელ მრეწველობაში წარმოების მოცულობამ 20,5 პროცენტით მოიმატა (იხ. დიაგრამა №2), ელექტროენერგია, აირი და წყალმომარაგების სფერო მხოლოდ 2 პროცენტით შემცირდა, ხოლო სამთომომპოვებელ მრეწველობასა და კარიერების დამუშავებაში 6,5 პროცენტთან ზრდას ჰქონდა ადგილი (იხ. დიაგრამა №3).

დიაგრამა №2. გადამამუშავებელი მრეწველობის ზრდის ტემპი მშპ-ის სტრუქტურის მიხედვით, 1997-2004 წლები




დიაგრამა №3. კარიერების დამუშავებისა და სამთომომპოვებელი მრეწველობის ზრდის ტემპი მშპ-ის სტრუქტურის მიხედვით, 1997-2004 წლები



მრეწველობისაგან განსხვავებით, 2004 წელს კლებას ჰქონდა ადგილი სოფლის მეურნეობაში. არახელსაყრელმა ბუნებრივ-კლიმატურმა პირობებმა უარყოფითი გავლენა იქონია სასოფლო-სამეურნეო კულტურების წარმოების მოცულობაზე. ამის გამო სოფლის მეურნეობის დარგში შექმნილი დამატებული ღირებულება 6.7 პროცენტით შემცირდა, ხოლო მისი წილი მშპ-ის მიმართ კი

3.1 პროცენტული პუნქტით დაქვეითდა და 16.2 პროცენტი შეადგინა (იხ. დიაგრამა №4). აქვე უნდა აღინიშნოს, რომ 2005 წლის 6 თვეში სოფლის მეურნეობის წილი მშპ-ის მიმართ წინა წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით კვლავ გაიზარდა და 919,1 მილიონი ლარი შეადგინა ანუ ადგილი ჰქონდა 11,9 პროცენტის ზრდას, ხოლო 2003 წლის 6 თვესთან შედარებით ზრდამ შეადგინა მხოლოდ 6,9 პროცენტი.

**დიაგრამა №4. სოფლის მეურნეობის ზრდის ტემპი მშპ-ის სტრუქტურის მიხედვით, 1997-2004 წლები**



ბრეწველობასთან ერთად 2004 წელს მშპ-თან შედარებით წინმსწრები ტემპებით ვითარდებოდნენ ვაჭრობისა და კავშირგაბმულობის დარგები. ამ დარგებში შექმნილი დამატებული ღირებულება, 2003 წელთან შედარებით, გაიზარდა შესაბამისად ვაჭრობაში 9.5 პროცენტით და კავშირგაბმულობაში კი 25.5 პროცენტით. ამასთანავე, გაიზარდა ამ დარგების (შესაბამისად 13,2 და 4,1 პროცენტი) წილობრივი ღონე მშპ-ის დარგობრივ სტრუქტურაში.

2005 წლის 6 თვეში მშენებლობის სექტორის მიერ შექმნილი მთლიანი შიდა პროდუქტის ღირებულება შეადგენს 257,2 მილიონ ლარს. აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ შესრულებული სამუშაოების დიდი წილი მოდის “ბაქო-თბილისი-ჯეიჰანისა და “შაჰ-დენიზის” გაზსადენის მშენებლობაზე. აღნიშნული


დარგის განვითარებას ხელს უწყობს ასევე, ბოლო წლებში საქართველოში საცხოვრებელ ბინებზე მოთხოვნის ზრდაც.

ერთ სულ მოსახლეზე გაანგარიშებით მთლიანი შიდა პროდუქტი 2004 წელს შეადგენდა 2 198 ლარს (იხ. ცხრილი №2, დიაგრამა №5), რაც 1997 წლის ანალოგიურ მაჩვენებელს 130 პროცენტით აღემატება. 2003 წლის მაჩვენებელთან შედარებით კი გაიზარდა 17 პროცენტით. 2005 წლის 6 თვეში მთლიანმა შიდა პროდუქტმა ერთ სულ მოსახლეზე გაანგარიშებით შეადგინა 1 124 ლარი, რაც წინა წლის ანალოგიურ მაჩვენებელს 12 პროცენტით აჭარბებს.

ცხრილი №2. საქართველოს მთლიანი შიდა პროდუქტი ერთ სულ მოსახლეზე გაანგარიშებით 1997-2005 წლის 6 თვეში

	1997	1998	1999	2000	2001	2002	2003	2004	2005 6 თვე
მშპ ერთ სულზე, ლარი	953	1 062	1 208	1 299	1 445	1 626	1 880	2 198	1 124

დიაგრამა №5. საქართველოს მთლიანი შიდა პროდუქტი ერთ სულ მოსახლეზე გაანგარიშებით 1997-2005 წლები



საინტერესოა ასევე საქართველოს მთლიანი შიდა პროდუქტის დინამიკის განხილვა დოლარებში. 2004 წელს საქართველოს მთლიანმა შიდა პროდუქტმა




5,2 მილიარდი დოლარი შეადგინა, რაც წინა წლის მაჩვენებელთან შედარებით 1,2 მილიარდი დოლარით მეტია, ხოლო 1997 წელთან შედარებით 1,7 მილიარდი დოლარით მეტი. 2005 წლის 6 თვეში საქართველოს მთლიანმა შიდა პროდუქტმა 2,8 მილიარდი დოლარი შეადგინა, ერთ სულ მოსახლეზე გაანგარიშებით კი 615 დოლარი, რაც წინა წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით ეს უკანასკნელი მაჩვენებელი გაიზარდა 22,6 პროცენტით. 2004 წელს მთლიანი შიდა პროდუქტი ერთ სულ მოსახლეზე გაანგარიშებით შეადგენდა 1 156 დოლარს, რაც 1997 წლის შესაბამის მაჩვენებელთან შედარებით 422 დოლარით მეტია, ხოლო 2003 წლის მაჩვენებელთან შედარებით 31 პროცენტით მეტი (იხ. ცხრილი №3, დიაგრამა №6).

**ცხრილი №3. საქართველოს მთლიანი შიდა პროდუქტის 1997-2005 წლის 6 თვის დინამიკა დოლარებში**

	1997	1998	1999	2000	2001	2002	2003	2004	2005 6 თვე
მშპ, მლნ. აშშ დოლარი	3 509	3 608	2 837	3 060	3 219	3 400	3 995	5 242	2 783
მშპ ერთ სულზე, აშშ დოლარი	734	763	605	658	697	741	877	1 156	615


**დიაგრამა №6. საქართველოს მთლიანი შიდა პროდუქტის 1997-2005 წლების დინამიკა დოლარებში**



როგორც სტატისტიკური მონაცემების ანალიზი გვიჩვენებს, 2004 წლის მთლიანი შიდა პროდუქტის ზრდა ძირითადად შიდა მოთხოვნითაა განპირობებული. სამომხმარებლო ხარჯებმა მთლიანი შიდა პროდუქტი 7 პროცენტით, ხოლო მთლიანმა ინვესტიციებმა კი 4.1 პროცენტით გაზარდა.

2004 წლის დეკემბერში, წინა წლის დეკემბერთან შედარებით სამომხმარებლო ფასები 7.5 პროცენტით გაიზარდა (იხ. დიაგრამა №7), ხოლო სამომხმარებლო ფასების საშუალო წლიურმა მაჩვენებელმა 5.7 პროცენტით მოიმატა. გასული წლის განმავლობაში, ფასების დონის ჩამოყალიბებაზე ზეგავლენა მოახდინა როგორც შიდა, ასევე გარე ფაქტორებმა. ერთ-ერთი შიდა ფაქტორი, რომელმაც ფასების ზრდა გამოიწვია, ქვეყანაში ფისკალური ადმინისტრირების გამკაცრება იყო. აგრეთვე, ახალი საგადასახადო კოდექსით გაიზარდა აქციზის განაკვეთები რამაც, ძირითადად ფასები გაზარდა საწვავზე, ალკოჰოლურ სასმელებსა და თამბაქოს ნაწარმზე. მეორე ფაქტორი იყო ცუდი ბუნებრივ-კლიმატური პირობები, რომელმაც მნიშვნელოვნად დააზარალა სოფლის მეურნეობა და შეამცირა ადგილობრივი პროდუქციის მიწოდება სამომხმარებლო ბაზარზე. რამაც საბოლოოდ აღნიშნულ საქონელზე ფასები გაზარდა. გარე ფაქტორებიდან სამომხმარებლო ფასებზე გავლენა მოახდინა მსოფლიო ბაზარზე ნავთობპროდუქტების გაძვირებამ.

**დიაგრამა №7. წლიური ინფლაცია, პროცენტებში**




2005 წლის ივნისში წინა წლის დეკემბერთან შედარებით ფასების ზრდამ 0,6 პროცენტი შეადგინა, რაზეც მოქმედებდა წინა წლის შესაბამისი ფაქტორები და მას დაემატა ახალი საგადასახადო კოდექსის გავლენა. უნდა აღინიშნოს, რომ მიმდინარე წლის მაისში და ივნისში სამომხმარებლო ფასების ინდექსმა საგრძნობლად დაიწია, რის შედეგადაც იკლო ინფლაციის იანვარ-ივნისის მაჩვენებელმა. ამის ძირითადი მიზეზი იყო სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის ფასების შემცირება. 2005 წლის ივნისში საქართველოში წინა თვესთან შედარებით დეფლაციის დონემ 1,4 პროცენტი შეადგინა (იხ. ცხრილი №4, დიაგრამა №8).

ცხრილი №4. ყოველთვიური ინფლაცია 2000-2005 წლებში


	2000 წ.	2001 წ.	2002 წ.	2003 წ.	2004 წ.	2005 წ.
იანვარი	0.4	0.7	2.0	2.1	0.4	2.1
თებერვალი	-0.2	0.6	1.2	-0.5	0.4	0.3
მარტი	-0.1	0.0	0.4	0.0	0.1	0.6
აპრილი	-0.2	1.0	1.8	0.5	-0.2	0.4
მაისი	-0.1	-1.0	0.0	0.2	0.0	-1.3
ივნისი	-0.3	-0.4	-2.3	0.1	-1.6	-1.4
ივლისი	-0.3	-0.7	-1.1	-0.9	0.8	
აგვისტო	1.2	0.3	-0.1	-0.1	-0.6	
სექტემბერი	1.8	-0.6	0.4	0.5	1.5	
ოქტომბერი	1.2	0.7	0.4	0.0	1.6	
ნოემბერი	0.6	1.4	1.1	4.8	1.2	
დეკემბერი	0.5	1.4	1.7	0.2	3.5	

დიაგრამა №8. 2005 წლის იანვარ-ივნისის ყოველთვიური ინფლაცია



2004 წლის განმავლობაში ლარის გაცვლითი კურსი აშშ დოლარის მიმართ გამყარების ტენდენციით ხასიათდებოდა. 2004 წლის დეკემბერში, 2003 წლის დეკემბერთან შედარებით ლარის საშუალო თვიური გაცვლითი კურსი 12.0 პროცენტით ამაღლდა და 2004 წლის დეკემბრის ბოლოსათვის 1.83 ლარი შეადგინა ერთ აშშ დოლარზე. გასული წლის განმავლობაში ლარის საშუალო წლიური მაჩვენებელი კი 1.92 ლარი/აშშ-ის დონეზე დაფიქსირდა. მიმდინარე წლის პირველ კვარტალში ლარის გაცვლითი კურსის საშუალო მაჩვენებელი შეადგენს 1.83 ლარს ერთ აშშ დოლარზე (იხ. დიაგრამა №9).

დიაგრამა №9. ვალუტის კურსი 1997-2005 წლის მეორე კვარტალში აშშ დოლარი/ლარი



საქართველოს სახელმწიფო დეპარტამენტის მონაცემებით 2004 წლის მიმდინარე ანგარიშის დეფიციტმა 349,3 მილიონი აშშ დოლარი შეადგინა. 2003 წელთან შედარებით დეფიციტის მოცულობა შემცირდა 17,4 მილიონი აშშ დოლარით, ხოლო 2002 წელთან შედარებით კი 151,7 მილიონი ლარითაა გაზრდილი (იხ. ცხრილი №5). საანგარიშო პერიოდში ექსპორტი წინა წელთან შედარებით გაიზარდა 31 პროცენტით და იმპორტი 37 პროცენტით, ხოლო სავაჭრო დეფიციტი 44 პროცენტით და შეადგინა 916 მილიონი აშშ დოლარი.

2004 წელს მნიშვნელოვნად გაიზარდა მომსახურების ექსპორტი. წინა წელთან შედარებით 2004 წელს მომსახურების ექსპორტი გაიზარდა 22 პროცენტით. მომსახურების ექსპორტში წამყვანი ადგილები უჭირავს ტრანსპორტითა და ტურიზმით მომსახურებას.

2004 წლის მიმდინარე ანგარიშის გაუმჯობესება მიმდინარე ტრანსფერტების ზრდითაა გამოწვეული. მიმდინარე ტრანსფერტები 2003 წელთან შედარებით 230,8 მილიონი აშშ დოლარით გაიზარდა. მათ შორის მნიშვნელოვანი ზრდაა დაფიქსირებული სამთავრობოთაშორისო გრანტებში. 2004 წელს უცხოურმა სამთავრობოთაშორისო გრანტებმა შეადგინეს 76,3 მილიონი აშშ დოლარი, მაშინ როცა წინა წლის შესაბამის პერიოდში აღნიშნული გრანტები შეადგენდა მხოლოდ 8,1 მილიონ აშშ დოლარს. 2004 წლის ივლისში ბრიუსელის ღონორთა მიტინგზე საქართველომ მიიღო პირობა 1,1 მილიარდი აშშ დოლარის დახმარების მიღების თაობაზე 2004-2006 წლებში. საქართველო არის იმ 17 ქვეყანას შორის, რომლებიც დასახელდა ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობის მიერ “ათასწლეულის გამოწვევის პროგრამის” ფარგლებში დახმარების მიმღებად.

## ცხრილი №5. საქართველოს 2002-2004 წლების საგადამხდელი ბალანსი

(მლნ. აშშ დოლარი)

	2002 წ.	2003 წ.	2004 წ.
<b>მიმდინარე ანგარიში</b>	<b>-197.6</b>	<b>-366.7</b>	<b>-349.3</b>
საქონელი	-483.0	-636.0	-916.0
კრედიტი	601.7	830.6	1,092.5
დებეტი	-1,084.7	-1,466.6	-2008.6
მომსახურება	35.5	54.0	56.1
კრედიტი	392.2	442.7	538.5
დებეტი	-356.7	-388.7	-482.4
შემოსავალი	33.2	32.3	96.8
კრედიტი	160.6	177.4	251.7
დებეტი	-127.4	-145.0	-155.0
მიმდინარე ტრანსფერტები	216.7	183.0	413.8
კრედიტი	245.8	219.2	465.4
დებეტი	-29.0	-36.2	-51.5
<b>კაპიტალის და ფინანსური ანგარიში</b>	<b>202.0</b>	<b>384.2</b>	<b>333.4</b>
კაპიტალის ანგარიში	18.4	19.9	40.8
კრედიტი	27.1	27.9	44.2
დებეტი	-8.6	-8.0	-3.4
<b>ფინანსური ანგარიში</b>	<b>183.6</b>	<b>364.3</b>	<b>292.6</b>
პირდაპირი ინვესტიციები	163.3	335.6	489.5
საპორტფელო ინვესტიციები	0.0	0.0	-13.1
სარეზერვო აქტივები	-38.5	6.7	-192.0
<b>წმინდა შეცდომები და გამოტოვებები</b>	<b>-4,436.4</b>	<b>-17.5</b>	<b>16.0</b>

2004 წელს კაპიტალისა და ფინანსური ანგარიშის მოცულობამ გადააჭარბა მიმდინარე ანგარიშის დეფიციტს, რამაც საბოლოო ჯამში 192 მლნ აშშ დოლარით გაზარდა მთლიანი საერთაშორისო რეზერვები. საანგარიშო პერიოდში პირდაპირი ინვესტიციები წინა წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით 153,9 მილიონი ლარით გაიზარდა და 489,5 მილიონი ლარი შეადგინა. 2004 წელს საპორტფელო ინვესტიციები საქართველოში ფაქტობრივად არ განხორციელებულა, ხოლო საზღვარგარეთ გასულია 13 მილიონი აშშ დოლარის ინვესტიციები.

2005 წლის 6 თვეში საქართველოს საგარეო სავაჭრო ბრუნვამ 1334,7 მილიონი აშშ დოლარი შეადგინა, რაც 2004 წლის შესაბამის მაჩვენებელს 25 პროცენტით აღემატება. აქედან ექსპორტი 374,2 მილიონი დოლარია, ხოლო იმპორტი 960,4 მილიონი აშშ დოლარი (იხ. ცხრილი №6). 2005 წლის საქართველოს უარყოფითმა სავაჭრო ბალანსმა კი 586,2 მილიონი დოლარი შეადგინა. მიმდინარე წლის 6 თვეში იმპორტის გადაფარვის კოეფიციენტმა ექსპორტით შეადგინა 39 პროცენტი.

**ცხრილი №6. 2005 წლის 6 თვეში საქართველოს უმსხვილესი სავაჭრო პარტნიორები**

(ათასი აშშ. დოლარი)

	ექსპორტი		იმპორტი		ბრუნვა	
	ათასი აშშ დოლარი	პროცენტობით ჯამთან	ათასი აშშ დოლარი	პროცენტობით ჯამთან	ათასი აშშ დოლარი	პროცენტობით ჯამთან
რუსეთი	63,114.70	16.90	159,422.70	16.60	222,537.40	16.70
თურქეთი	73,879.60	19.70	122,060.90	12.70	195,940.60	14.70
აზერბაიჯანი	45,533.20	12.20	87,338.50	9.10	132,871.60	10.00
უკრაინა	10,063.80	2.70	85,732.90	8.90	95,796.70	7.20
გერმანია	8,200.80	2.20	80,868.80	8.40	89,069.60	6.70
აშშ	8,585.10	2.30	42,054.30	4.40	50,639.40	3.80
თურქმენეთი	32,784.50	8.80	16,937.10	1.80	49,721.60	3.70
გაერთიანებული სამეფო	13,385.60	3.60	34,590.90	3.60	47,976.50	3.60
ბულგარეთი	19,551.10	5.20	25,176.50	2.60	44,727.60	3.40
სომხეთი	14,875.80	4.00	19,630.70	2.00	34,506.50	2.60
<b>სულ</b>	<b>374,206.8</b>	<b>100</b>	<b>960,449.2</b>	<b>100</b>	<b>1,334,656.1</b>	<b>100</b>

2005 წლის იანვარ-ივნისში საქართველოს უარყოფითი სავაჭრო ბალანსი ჰქონდა 87 პარტნიორ ქვეყანასთან, რომლებთანაც სავაჭრო დეფიციტმა 629,8 მლნ. აშშ დოლარი შეადგინა, წინა წლის ანალოგიურ პერიოდში კი უარყოფითი სავაჭრო ბალანსი გვქონდა 89 ქვეყანასთან, ხოლო სავაჭრო დეფიციტი – 547,1 მლნ. აშშ დოლარი.

მიმდინარე წლის 6 თვეში წინა წელთან შედარებით გაიზარდა იმ ქვეყნების რიცხვი, რომლებთანაც საქართველოს დადებითი სავაჭრო ბალანსი

აქვს. 2004 წლის იანვარ-ივნისში საქართველოს დადებითი სავაჭრო ბალანსი ჰქონდა 19 ქვეყანასთან, 2005 წელს კი – 31 ქვეყანასთან (იხ. ცხრილი №7).

**ცხრილი №7. საქართველოს საგარეო სავაჭრო ბალანსი 2004-2005 წლის 6 თვეში**

	ქვეყნების რაოდენობა	საგარეო სავაჭრო ბალანსი, მლნ. აშშ დოლარი
უარყოფითი სავაჭრო ბალანსი		
2004 წ. იანვარი-ივნისი	89	547,1
2005 წ. იანვარი-ივნისი	87	629,8
დადებითი სავაჭრო ბალანსი		
2004 წ. იანვარი-ივნისი	19	75,9
2005 წ. იანვარი-ივნისი	31	43,6
სულ		
2004 წ. იანვარი-ივნისი	108	-471,2
2005 წ. იანვარი-ივნისი	118	-586,2

საქართველოს უმსხვილეს პარტნიორ ქვეყნებს შორის პირველი ადგილი რუსეთს უკავია. 2005 წლის 6 თვეში ამ ქვეყანასთან სავაჭრო ბრუნვა წინა წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით 53 პროცენტით გაიზარდა და 222,5 მილიონი აშშ დოლარი შეადგინა, რაც მთლიანი საგარეო სავაჭრო ბრუნვის 16,7 პროცენტის ტოლია.

უნდა აღინიშნოს, რომ საქართველოს სავაჭრო დეფიციტის 35,7 პროცენტი მოდის დსთ-ის ქვეყნებზე. აღნიშნული მაჩვენებელი 2004 წლის 6 თვეში შეადგენდა 23,2 პროცენტს. დსთ-ს ქვეყნების წილად მოდის საქართველოს საგარეო სავაჭრო ბრუნვის 41,5 პროცენტი, მათ შორის ექსპორტის – 46,2 პროცენტი და იმპორტის – 39,8 პროცენტი.

2005 წლის იანვარ-ივნისში საქართველოს საგარეო სავაჭრო ბრუნვამ ევროკავშირის ქვეყნებთან 323,6 მლნ. აშშ დოლარი შეადგინა, რაც წინა წლის შესაბამის მაჩვენებელზე 1,0 პროცენტით ნაკლებია, აქედან ექსპორტი 57,0 მლნ. დოლარია (შესაბამისად 1,2-ჯერ მეტი), რაც გამოიწვია შავი ლითონების ჯართის, თხილისა და სხვა კაკლის, აზოტოვანი სასუქების, სპილენძის მადნებისა და კონცენტრატების სასაქონლო ჯგუფების ექსპორტის გაზრდამ,



ხოლო იმპორტი – 266,6 მლნ. დოლარი. ამ ქვეყნების წილად მოდის საქართველოს საგარეო სავაჭრო ბრუნვის 24,2 პროცენტი, მათ შორის ექსპორტის 15,2 პროცენტი და იმპორტის 27,8 პროცენტი (იხ. დანართი №1).

მიმდინარე წლის 6 თვეში უმნიშვნელო ცვლილებები მოხდა ექსპორტ-იმპორტის სასაქონლო სტრუქტურაში. სასაქონლო ჯგუფებიდან ექსპორტში პირველ ადგილზეა შავი ლითონების ჯართი, მისი წილი მთელს ექსპორტში შეადგენს 14 პროცენტს (იხ. ცხრილი №8), შემდეგ მოდის ფეროშენადნობები (10,1 პროცენტი), შემდეგ საფრენი აპარატები (9,7 პროცენტი) და ყურძნის ნატურალური ღვინოები (5,8 პროცენტი). იმპორტში კი 12,8 პროცენტით პირველი ადგილი ისევ ნავთობსა და ნავთობპროდუქტებს უჭირავს. შემდეგ კი 6,8 და 5,3 პროცენტით მოდიან მსუბუქი ავტომობილები და სამკურნალო საშუალებები (იხ. ცხრილი №9).

**ცხრილი №8. საქართველოს 2004-2005 წლების 6 თვის ექსპორტი სასაქონლო სტრუქტურის მიხედვით**

(ათასი აშშ დოლარი)

	2004 წ. 6 თვე		2005 წ. 6 თვე	
	ათასი აშშ დოლარი	პროცენტობით ჯამთან	ათასი აშშ დოლარი	პროცენტობით ჯამთან
<b>ექსპორტი – სულ</b>	<b>296,690.9</b>	<b>100</b>	<b>374,206.8</b>	<b>100</b>
მათ შორის:				
შავი ლითონების ჯართი	40,971.1	13.8	52,539.7	14.0
ფეროშენადნობები	21,828.7	7.4	37,900.2	10.1
სხვა საფრენი აპარატები	45,856.5	15.5	36,331.8	9.7
ყურძნის ღვინო ნატურალური	20,879.1	7.0	31,824.8	8.5
სპილენძის მადნები და კონცენტრატები	16,814.3	5.7	21,914.5	5.9
შაქარი	16,785.1	5.7	18,438.9	4.9
ოქრო დაუმუშავებელი ან ნახევრადამუშავებული	10,473.2	3.5	15,881.6	4.2
მინერალური წყლები	6,995.2	2.4	14,438.8	3.9
აზოტოვანი სასუქები	10,064.3	3.4	12,856.5	3.4
თხილი და სხვა კაკალი	764.5	0.3	12,441.7	3.3
<b>დანარჩენი პროდუქცია – სულ</b>	<b>105,258.9</b>	<b>35.5</b>	<b>119,638.3</b>	<b>32.0</b>

**ცხრილი №9. საქართველოს 2004-2005 წლების 6 თვის იმპორტი  
სასაქონლო სტრუქტურის მიხედვით**

(ათასი აშშ დოლარი)

	2004 წ. 6 თვე		2005 წ. 6 თვე	
	ათასი აშშ დოლარი	პროცენტობით ჯამთან	ათასი აშშ დოლარი	პროცენტობით ჯამთან
<b>იმპორტი – სულ</b>	<b>767,883.4</b>	<b>100</b>	<b>960,449.2</b>	<b>100</b>
მათ შორის:				
ნავთობი და ნავთობპროდუქტები	69,491.7	9.0	122,975.7	12.8
მსუბუქი ავტომობილები	39,761.0	5.2	65,159.0	6.8
სამკურნალო საშუალებები	35,217.6	4.6	51,275.8	5.3
ნავთობის აირები და აირისებრი ნახშირწყალბადები	40,405.1	5.3	47,564.4	5.0
შაქარი	22,780.6	3.0	29,838.6	3.1
ფქვილი	14,480.9	1.9	21,887.8	2.3
ელექტროენერჯია	21,819.6	2.8	20,832.9	2.2
ხორბალი	30,748.7	4.0	18,067.0	1.9
სატვირთო ავტომობილები	5,071.2	0.7	11,327.5	1.2
რადიო და სატელევიზიო აპარატურა	8,893.1	1.2	11,295.2	1.2
<b>დანარჩენი პროდუქცია – სულ</b>	<b>479,214.0</b>	<b>62.4</b>	<b>560,225.5</b>	<b>58.3</b>

**2. საქართველოს 2005 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის  
შემოსულობების ექვსი თვის შესრულების მონიტორინგის  
შედეგები**

საქართველოს 2005 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შემოსავლებმა და გრანტებმა 1 ივლისის მდგომარეობით 1 183,8 მილიონი ლარი შეადგინა და იანვარ-ივნისის პროგნოზს (1 093,4 მილიონ ლარს) 90,4 მილიონი ლარით ანუ 8 პროცენტით გადააჭარბა (იხ. ცხრილი №10). ასევე 8 პროცენტით გადააჭარბებოდა შესრულებული სახელმწიფო ბიუჯეტის შემოსავლები.

**ცხრილი №10. საქართველოს 2005 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის  
შემოსავლები და გრანტები 1 ივლისის მდგომარეობით**

(ათასი ლარი)


დასახელება	პროგნოზი	შესრულება	გადახრა	შესრუ- ლება, %
სახელმწიფო ბიუჯეტის შემოსავლები და გრანტები	<b>1,093,420</b>	<b>1,183,835</b>	<b>90,415</b>	<b>108</b>
სახელმწიფო ბიუჯეტის შემოსავლები	<b>1,070,023</b>	<b>1,153,242</b>	<b>83,220</b>	<b>108</b>
საგადასახადო შემოსავლები	741,484	771,052	29,568	104
არასაგადასახადო შემოსავლები	118,129	136,429	18,301	115
კაპიტალური შემოსავლები	210,410	245,761	35,351	117
<b>გრანტები</b>	<b>23,398</b>	<b>30,593</b>	<b>7,195</b>	<b>131</b>

საბაჟო დეპარტამენტი	381,700	408,218	26,518	107
საგადასახადო დეპარტამენტი	359,784	362,834	3,050	101

სახელმწიფო ბიუჯეტის ექვსი თვის შემოსავლებისა და გრანტების პროგნოზი წლიურ პროგნოზთან შედარებით 44 პროცენტს შეადგენს, შესრულების მაჩვენებელი კი 48 პროცენტს. მიმდინარე წლის პირველ კვარტალში როდესაც ანალოგიური მდგომარეობა იყო, შეიძლება გვეფიქრა, რომ ეს დაუდევრობით და უწყურადღებობით მოხდა, თუმცა აღნიშნული მეორე კვარტლის ბოლოს კვლავ განმეორდა, გამომდინარე აქედან ფინანსთა

სამინისტროს მიერ მიზანმიმართულად ხორციელდება შემოსავლებისა და გრანტების საპროგნოზო პარამეტრის მცირე მოცულობით განსაზღვრა, რათა პერიოდის ბოლოს ყოველთვის გადაჭარბებას ჰქონდეს ადგილი. გადასახდელების გეგმებიც სპეციალურად მეტი ოდენობითაა დაგეგმილი, რაზეც გადასახდელების ნაწილშიც ვისაუბრებთ.


დიაგრამა №10. საქართველოს 2005 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შემოსავლები და გრანტები 1 ივლისის მდგომარეობით



უკანასკნელ პერიოდში ბიუჯეტის შესრულების კუთხით შეიძლება ითქვას რომ “იდეალურად” მუშაობენ საგადასახადო და საბაჟო დეპარტამენტები. ამ უკანასკნელმა მეორე კვარტლის ბოლოს ბიუჯეტში შესატანი შემოსავლების პროგნოზს 7 პროცენტით გადააჭარბა და 408,2 მილიონი ლარის მობილიზება შეძლო. საგადასახადო დეპარტამენტიდან მიღებულმა შემოსავლებმა კი 362,8 მილიონი ლარი შეადგინა, რაც პროგნოზს 1 პროცენტით (3 მილიონი ლარით) აჭარბებს. ამასთან მიმდინარე წელს, ისევე როგორც პირველ კვარტალში ამჟამადაც საბაჟო დეპარტამენტმა კვლავ მეტი შემოსავლების მობილიზება შეძლო, ვიდრე საგადასახადომ. წინა წლებში კი ყოველთვის საწინააღმდეგო ვითარება იყო. 2004 წლის ექვსი თვის მონაცემებთან შედარებით საბაჟო

დეპარტამენტის მიერ სახელმწიფო ბიუჯეტში მობილიზებული თანხები გაზრდილია 182,3 მილიონი ლარით, ანუ 81 პროცენტით, საგადასახადო დეპარტამენტის მიერ მობილიზებული თანხები კი 11 პროცენტით, ანუ 35,6 მილიონი ლარით გაიზარდა.


**დიაგრამა №11. საქართველოს 2005 წლის სახელმწიფო ბიუჯეტში საგადასახადო და საბაჟო დეპარტამენტების მიერ მობილიზებული თანხები**




მიმდინარე წლის იანვარ-ივნისის მონაცემებით სახელმწიფო ბიუჯეტის საგადასახადო შემოსავლები 4 პროცენტიანი გადაჭარბებითაა შესრულებული და შემოსავლებსა და გრანტებში 64 პროცენტი უკავია (იხ. დიაგრამა №12). 2004 წლის ანალოგიურ პერიოდში საგადასახადო შემოსავლების წილი 81 პროცენტს შეადგენდა (იხ. დიაგრამა №13). 15 პროცენტიანი გადაჭარბებით შესრულდა არასაგადასახადო შემოსავლები, რომლებიც სახელმწიფო ბიუჯეტის შემოსავლებსა და გრანტებში 12 პროცენტს იკავებს, შარშან კი 17 პროცენტს შეადგენდა. კაპიტალურმა შემოსავლებმა პროგნოზირებულ პარამეტრს 17 პროცენტით გადააჭარბა და მისი ხვედრითი წილი 21 პროცენტით განისაზღვრა, მაშინ როცა 2004 წელს 0,3 პროცენტი იყო. სწორედ კაპიტალური შემოსავლების წილის ზრდამ გამოიწვია საგადასახადო და არასაგადასახადო

შემოსავლების წილების შემცირება. რაც შეეხება გრანტებს, ამ კუთხით საკმაოდ დიდი – 31 პროცენტისანი გადაჭარბებაა, მათი ხვედრითი წილი კი 3 პროცენტს შეადგენს და შარშანდელთან შედარებით 1 პროცენტული პუნქტითაა გაზრდილი.

დიაგრამა №12. საქართველოს 2005 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შემოსავლები და გრანტები 1 ივლისის მდგომარეობით



დიაგრამა №13. საქართველოს 2004 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შემოსავლები და გრანტები 1 ივლისის მდგომარეობით



საინტერესოა 2005 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის ექვსი თვის შესრულების მაჩვენებლების შედარება 2004 წლის ანალოგიური პერიოდის მაჩვენებლებთან (იხ. ცხრილი №11; დიაგრამა №14).

შარშანდელთან შედარებით მიმდინარე წელს სახელმწიფო ბიუჯეტის შემოსავლები და გრანტები გაზრდილია 488,8 მილიონი ლარით ანუ 70 პროცენტით. ასევე 70 პროცენტიანი ზრდაა მთლიანი შემოსავლების კუთხით.

ცხრილი №11. საქართველოს 2004-2005 წლების სახელმწიფო ბიუჯეტის შემოსავლები და გრანტები 1 ივლისის მდგომარეობით

(ათასი ლარი)


დასახელება	2004 წლის ექვსი თვე	2005 წლის ექვსი თვე	ზრდა წინა წელთან შედარებით	
			ლარებში	პროცენტებში
სახელმწიფო ბიუჯეტის შემოსავლები და გრანტები	694,989	1,183,835	488,847	170

სახელმწიფო ბიუჯეტის შემოსავლები	<b>677,975</b>	<b>1,153,242</b>	<b>475,267</b>	<b>170</b>
საგადასახადო შემოსავლები	557,926	771,052	213,126	138
არასაგადასახადო შემოსავლები	117,888	136,429	18,542	116
კაპიტალური შემოსავლები	2,162	245,761	243,599	11,370
გრანტები	<b>17,014</b>	<b>30,593</b>	<b>13,579</b>	<b>180</b>

საბაჟო დეპარტამენტი	225,858	408,218	182,361	181
საგადასახადო დეპარტამენტი	327,166	362,834	35,668	111

საგადასახადო შემოსავლების კუთხით ადგილი აქვს 38 პროცენტიან ზრდას, ანუ მიმდინარე წელს მობილიზებულია 213,1 მილიონი ლარით მეტი, ვიდრე შარშან. არასაგადასახადო შემოსავლები გაზრდილია 18,5 მილიონი ლარით, ანუ 16 პროცენტით. განსაკუთრებული ზრდაა დაფიქსირებული კაპიტალურ შემოსავლებში. თუ შარშან მეორე კვარტლის ბოლოს მობილიზებული იყო 2,1 მილიონი ლარი, მიმდინარე წელს 11 270 პროცენტით მეტი შემოსავალი იქნა მიღებული. საკმაოდ მნიშვნელოვანი ზრდაა ასევე გრანტების კუთხით, წელს 80 პროცენტით მეტი გრანტებია შემოსული ვიდრე შარშან.

დიაგრამა №14. საქართველოს 2004-2005 წლების სახელმწიფო ბიუჯეტის შემოსავლები და გრანტები 1 ივლისის მდგომარეობით





**საგადასახადო შემოსავლები**

2005 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესრულების პროცესში, პირველი ორი კვარტლის განმავლობაში საკმაოდ საინტერესო ტენდენციები დაფიქსირდა და ეს ტენდენციები საგადასახადო შემოსავლების მობილიზებასთანაა დაკავშირებული. როგორც აღვნიშნეთ, საგადასახადო შემოსავლების სახით 1 ივლისის მდგომარეობით 771 მილიონი ლარი იქნა მობილიზებული, რაც პროგნოზზე (741,4 მილიონი ლარი) 29,5 მილიონი ლარით, ანუ 4 პროცენტით მეტია (იხ. ცხრილი №12). *საგადასახადო შემოსავლების გადაჭარბებით მობილიზება ორი რამითაა განპირობებული: 1. გამკაცრებულია საგადასახადო ადმინისტრირება და 2. უმთავრესი მიზეზი, როგორც ზემოთაც აღვნიშნეთ, შემოსავლების პროგნოზები მცირე მოცულობითაა განსაზღვრული.*

მიუხედავად იმისა, რომ მთლიანი მაჩვენებლის კუთხით ადგილი აქვს გადაჭარბებას, კონკრეტული საგადასახადო შემოსავლების მობილიზაციისას ფინანსთა სამინისტროს გარკვეული პრობლემები მაინც ექმნება.

**ცხრილი №12. საქართველოს 2005 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის საგადასახადო შემოსავლები 1 ივლისის მდგომარეობით**

(ათასი ლარი)

დასახელება	პროგნოზი	შესრულება	გადახრა	შესრუ- ლება, %
<b>საგადასახადო შემოსავლები</b>	<b>741,484</b>	<b>771,052</b>	<b>29,568</b>	<b>104</b>
დამატებული ღირებულების გადასახადი	406,414	425,866	19,452	105
აქციზი	138,700	128,771	-9,929	93
საბაჟო გადასახადი	50,794	51,340	546	101
სოციალური გადასახადი	145,576	162,920	17,344	112
სხვა გადასახადები*	0	2,156	2,156	

\* წინა წლის ნარჩენი თანხები

დამატებული ღირებულების გადასახადის სახით მიღებულმა შემოსავლებმა 425,8 მილიონი ლარი შეადგინა, რაც პროგნოზზე 5 პროცენტით მეტია. შარშანდელთან შედარებით კი გაზრდილია 81 პროცენტით (იხ. ცხრილი №13;

დიაგრამა №15). საგადასახადო შემოსავლებში მისი ხვედრითი წილი 55 პროცენტს შეადგენს, შარშან კი 45 პროცენტით იყო წარმოდგენილი (იხ. დიაგრამა №16; №17). საბაჟო გადასახადის სახით მიღებულია 51,3 მილიონი ლარი, რაც 1 პროცენტით აჭარბებს პროგნოზირებულ პარამეტრს და შარშანდელთან შედარებით გაზრდილია 9,5 მილიონი ლარით. აღნიშნული გადასახადიდან მიღებული შემოსავლების ხვედრითი წილი 7 პროცენტს შეადგენს, შარშან კი 8 პროცენტით იყო განსაზღვრული.


**ცხრილი №13. საქართველოს 2004-2005 წლების სახელმწიფო ბიუჯეტის ექვსი თვის საგადასახადო შემოსავლები**

(ათასი ლარი)

დასახელება	2004 წლის ექვსი თვე	2005 წლის ექვსი თვე	ზრდა წინა წელთან შედარებით	
			ლარებში	პროცენტებში
<b>საგადასახადო შემოსავლები</b>	<b>525,154</b>	<b>771,052</b>	<b>245,899</b>	<b>147</b>
დამატებული ღირებულების გადასახადი	235,842	425,866	190,024	181
აქციზი	66,858	128,771	61,913	193
საბაჟო გადასახადი	41,795	51,340	9,545	123
სოციალური გადასახადი	152,230	162,920	10,691	107
სხვა დანარჩენი გადასახადები	28,429	2,156	-26,273	8

სოციალური გადასახადის სახით მიღებული იქნა 152,2 მილიონი ლარი, რაც 6 თვის პროგნოზს 17,3 მილიონი ლარით, ანუ 12 პროცენტით აღემატება. წინა წელთან შედარებით გადასახადიდან მიღებული შემოსავალი 7 პროცენტით ანუ 10,6 მილიონი ლარით გაიზარდა. ეს ერთის მხრივ გაკვირვებას იწვევს, რადგან შარშანდელთან შედარებით მიმდინარე წელს სოციალური გადასახადის განაკვეთი საგრძნობლადაა შემცირებული, თუმცა მეორეს მხრივ განაკვეთის შემცირებამ შემოსავლების ლეგალიზაცია და შესაბამისად გადასახადით მიღებული შემოსავლების ზრდა გამოიწვია. სოციალური გადასახადის ხვედრითი წილი საგადასახადო შემოსავლებში 21 პროცენტია, ხოლო შარშან 29 პროცენტს შეადგენდა.

დიაგრამა №15. საქართველოს 2005 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის ექვსი თვის საგადასახადო შემოსავლები




საგადასახადო შემოსავლებში აქციზი ერთადერთი გადასახადია, რომლის კუთხითაც მისაღები შემოსავლები სრულად არ იქნა შესრულებული. სწორედ აღნიშნული გადასახადის კუთხით ექმნება ფინანსთა სამინისტროს პრობლემები.


აქციზის სახით 2005 წლის პირველ ექვს თვეში დაგეგმილი იყო 138,7 მილიონი ლარის მობილიზება, თუმცა მხოლოდ 128,7 მილიონი ლარის მიღება მოხერხდა, რაც პროგნოზის 93 პროცენტს შეადგენს. განსაკუთრებით მძიმე ვითარებაა საქართველოს ტერიტორიაზე წარმოებული პროდუქციიდან მისაღები აქციზის კუთხით: პროგნოზირებული იყო 48,8 მილიონი ლარის მობილიზება, პერიოდის ბოლოს კი 28,3 მილიონი ლარი იქნა მობილიზებული, ანუ შესრულებამ მხოლოდ 58 პროცენტი შეადგინა. განსხვავებული სიტუაციაა საბაჟო დეპარტამენტიდან მიღებული აქციზის კუთხით, ამ შემთხვევაში მიღებულმა შემოსავალმა (100,4 მილიონი ლარი) პროგნოზს 12 პროცენტით გადააჭარბა. *ყოველივე აღნიშნული იძლევა ერთი დასკვნის გაკეთების საშუალებას: საგადასახადო კოდექსით შემოთავაზებული აქციზის განაკვეთები*

აუცილებლად საჭიროებს გადახედვას, რადგან ეკონომიკაზე უარყოფითი გავლენას ახდენენ. ადგილზე წარმოებული აქციზური პროდუქციიდან მისაღები გადასახადის თანხების შემცირება მიუთითებს იმაზე, რომ მცირდება ასეთი პროდუქციის მწარმოებელ საწარმოთა რიცხვი, რომ აღარაფერი ვთქვათ ახალი საწარმოების შექმნაზე. მიუხედავად იმისა, რომ იმპორტირებული პროდუქციიდან მიღებული აქციზის მხრივ გადაჭარბებაა დაფიქსირებული ეს რეალურ სურათს არ ხატავს. საბაჟო დეპარტამენტმა პირველ ექვს თვეში შეძლო პროგნოზის შესრულება და გადაჭარბება, მაგრამ ეს დიდი ძალისხმევის და შემცირებული პროგნოზის შედეგია. კონტრაბანდა კი კვლავ მრავლადაა ქვეყანაში, რაც უარყოფით გავლენას ახდენს ადგილობრივ წარმოებაზე.

დიაგრამა №16. საქართველოს 2005 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის ექვსი თვის საგადასახადო შემოსავლები



დიაგრამა №17. საქართველოს 2004 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის ექვსი თვის საგადასახადო შემოსავლები



საბოლოოდ უნდა აღვნიშნოთ, რომ მიმდინარე წელს საგადასახადო შემოსავლების შესრულება ძირითადად დამატებული გადასახადის ხარჯზე ხორციელდება, რასაც მისი ხვედრითი წილის ზრდაც ადასტურებს. როგორც ცნობილია 1 ივლისიდან დღე-ის 18 პროცენტთან განაკვეთი შევიდა ძალაში და რამდენად მოახერხებს ფინანსთა სამინისტრო საგადასახადო შემოსავლების კვლავ ასეთი გადაჭარბებით შესრულებას, ამას დრო გვიჩვენებს.

#### არასაგადასახადო შემოსავლები

არასაგადასახადო შემოსავლების სახით 2005 წლის მეორე კვარტლის ბოლოს სახელმწიფო ბიუჯეტში მიღებული იქნა 136,4 მილიონი ლარი, რაც პროგნოზზე 18,3 მილიონი ლარით, ანუ 15 პროცენტით მეტია (იხ. ცხრილი №14). წინა წლის ანალოგიურ პერიოდთან შედარებით შემოსავლები გაზრდილია 18,5 მილიონი ლარით, ანუ 16 პროცენტით (იხ. დიაგრამა №18). თუ შარშან არასაგადასახადო შემოსავლების შევსების ძირითადი წყარო ე.წ.

“კორუმპირებული ჩინოვნიკების” “შავი ფული” იყო, მიმდინარე წელს აღნიშნული მუხლის შევსება უმეტესად მოსაკრებლების სახით მიღებული შემოსავლების და ეროვნული ბანკის მოგების საშუალებით ხდება, თუმცა “კორუმპირებულების” მიერ გადახდილი თანხებიც საკმაო ოდენობითაა.

ცხრილი №14. საქართველოს 2005 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის არასაგადასახადო შემოსავლები 1 ივლისის მდგომარეობით


(ათასი ლარი)

დასახელება	პროგნოზი	შესრულება	გადახრა	შესრულება, %
არასაგადასახადო შემოსავლები	<b>118,129</b>	<b>136,429</b>	<b>18,301</b>	<b>115</b>
მოსაკრებლები	22,776	31,841	9,065	140
სახელმწიფო ქონების იჯაროდან მიღებული შემოსავლები	471	499	28	106
მომსახურების გაწევიდან მიღებული შემოსავლები	1,777	983	-794	55
შემოსავლები არაძირითადი (თანმდევი) გაყიდვებიდან	58	16	-41	28
შემოსავლები დივიდენდებიდან და ეროვნული ბანკის მოგებიდან	36,465	47,497	11,032	130
სახელმწიფო სესხის პროცენტი (სარგებელი)	1,228	1,201	-28	98
ჯარიმებითა და სანქციებით მიღებული შემოსავლები	3,254	2,971	-283	91
გაცემული კრედიტების დაბრუნება	4,517	4,157	-360	92
სხვა არასაგადასახადო შემოსავლები	47,583	47,264	-319	99

მოსაკრებლების სახით მისაღები შემოსავლების 6 თვის პროგნოზი 22,7 მილიონ ლარს შეადგენდა, პერიოდის ბოლოს კი 31,8 მილიონი ლარის მობილიზება მოხერხდა და აღნიშნული მუხლი 40 პროცენტთან გადაჭარბებით შესრულდა. როგორც აღვნიშნეთ, მოსაკრებლებს არასაგადასახადო შემოსავლებში საკმაოდ დიდი წილი უკავია და 23 პროცენტს შეადგენს (იხ. დიაგრამა №19). 35 პროცენტითაა წარმოდგენილი შემოსავლები დივიდენდებიდან და ეროვნული ბანკის მოგებიდან, რომელიც პროგნოზთან

შედარებით (36,4 მილიონი ლარი) 30 პროცენტითაა გადაჭარბებით შესრულდა და 47,4 მილიონი ლარი შეადგინა. აქედან, სახელმწიფო წილობრივი მონაწილეობით მოქმედი საწარმოებიდან მიღებულმა დივიდენდებმა შეადგინა 7,4 მილიონი ლარი, ხოლო ეროვნული ბანკის მოგებამ 40 მილიონი ლარი.


დიაგრამა №18. საქართველოს 2004-2005 წლების სახელმწიფო ბიუჯეტის ექვსი თვის არასაგადასახადო შემოსავლები



საკმაოდ საინტერესოა “სხვა არასაგადასახადო შემოსავლების” მუხლი, რომელიც არასაგადასახადო შემოსავლებში 35 პროცენტითაა წარმოდგენილი. აქ აისახება ის თანხები, რომელთა მობილიზებასაც ძალოვანი სტრუქტურები ახდენდნენ. მნიშვნელოვანია ის ფაქტი, რომ თუ აქამდე აღნიშნული მუხლი ყოველთვის დიდი გადაჭარბებით სრულდებოდა, ამჟამად პროგნოზის სრულად შესრულებას 1 პროცენტი დააკლდა. სულ მობილიზებული იქნა 47,2 მილიონი ლარი. წინა წლის მონაცემებთან შედარებით მიღებული თანხები თითქმის განახევრებულია ანუ 46 მილიონი ლარითაა შემცირებული, რაც იმას ნიშნავს, რომ ძალოვანი სტრუქტურები სახელმწიფო ბიუჯეტს ისეთივე აქტიურობით ვეღარ “ეხმარებიან”.

გაცემული კრედიტების დაბრუნებამ შეადგინა 4,1 მილიონი ლარი, ანუ პროგნოზის 92 პროცენტი, მისი ხვედრითი წილი შეადგენს 3 პროცენტს. ჯარიმებითა და სანქციებით მიღებულმა შემოსავლებმა შეადგინა 2,9 მილიონი ლარი, ანუ პროგნოზის 91 პროცენტი, ხვედრითი წილი შეადგენს 2 პროცენტს. სხვა დანარჩენი არასაგადასახადო შემოსავლების სახით სულ მობილიზებული იქნა 2,6 მილიონი ლარი, ანუ არასაგადასახადო შემოსავლების 2 პროცენტი.

**დიაგრამა №19. საქართველოს 2005 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის ექვსი თვის არასაგადასახადო შემოსავლები**



### კაპიტალური შემოსავლები

მიმდინარე წელს კაპიტალური შემოსავლების სახით ფინანსთა სამინისტროს ბიუჯეტის შევსების საკმაოდ კარგი წყარო გამოუჩნდა. ექვსი თვის განმავლობაში მობილიზებული იქნა 245,7 მილიონი ლარი, რაც პროგნოზს 17 პროცენტით, ანუ 245,7 მილიონი ლარით აღემატება.



**ცხრილი №15. საქართველოს 2005 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის  
კაპიტალური შემოსავლები 1 ივლისის მდგომარეობით**


(ათასი ლარი)

დასახელება	პროგნოზი	შესრულება	გადახრა	შესრუ- ლება, %
<b>კაპიტალური შემოსავლები</b>	<b>210,410</b>	<b>245,761</b>	<b>35,351</b>	<b>117</b>
შემოსავალი ძირითადი კაპიტალის გაყიდვიდან	210,300	244,455	34,155	116
შემოსავალი მიწისა და არამატერიალური აქტივების გაყიდვიდან	110	1,305	1,195	1,187

კაპიტალურ შემოსავლებში ძირითადი ადგილი “ძირითადი კაპიტალის გაყიდვიდან” მიღებულ თანხებს უკავია და 244,4 მილიონ ლარს შეადგენს, რაც პროგნოზზე 16 პროცენტით მეტია. 1,3 მილიონი ლარი კი მიწის გაყიდვიდანაა შემოსული. თანხის ძირითადი ნაწილი წარმოადგენს საქართველოს საზღვაო სანაოსნოს რეალიზაციიდან (93 მილიონი აშშ დოლარი), ელმავალმშენებელი ქარხნის რეალიზაციიდან (4,1 მილიონი აშშ დოლარი), საქართველოს ტელეკომის (5 მილიონი აშშ დოლარი) და სხვა ობიექტების რეალიზაციიდან მიღებულ თანხებს.

წინა წლის ანალოგიურ პერიოდთან შედარებით კაპიტალური შემოსავლები რეკორდულად – 11 270 პროცენტით გაიზარდა და ამჟამად სახელმწიფო ბიუჯეტის შემოსავლებსა და გრანტებში 21 პროცენტს იკავებს, მაშინ როცა შარშან 0,3 პროცენტით იყო წარმოდგენილი.


**დიაგრამა №20. საქართველოს 2004-2005 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის  
ექვსი თვის კაპიტალური შემოსავლები**



**გრანტები**

საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტის შემოსავლებსა და გრანტებში 2005 წლის მეორე კვარტლის მონაცემებით გრანტების ხვედრითი წილი 3 პროცენტს შეადგენს. 6 თვის პროგნოზი განსაზღვრული იყო 23,3 მილიონი ლარით, ფაქტობრივად კი 30,5 მილიონი ლარი იქნა მიღებული, რაც პროგნოზირებულ პარამეტრს 31 პროცენტით აღემატება, შარშანდელთან შედარებით კი 80 პროცენტითაა გაზრდილი (იხ. დიაგრამა №21).

**დიაგრამა №21. საქართველოს 2004-2005 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის ექვსი თვის გრანტები**



### დეფიციტის დაფინანსების წყაროები

2005 წლის მეორე კვარტლის მონაცემებით სახელმწიფო ბიუჯეტის დეფიციტის დაფინანსების წყაროებმა 50,8 მილიონი ლარი შეადგინა (იხ. ცხრილი №16).

**ცხრილი №16. საქართველოს 2005 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის დეფიციტის დაფინანსების წყაროები 1 ივლისის მდგომარეობით**  
(ათასი ლარი)

დასახელება	შესრულება
<b>დეფიციტის დაფინანსება</b>	<b>50,846</b>
სახაზინო ვალდებულებებიდან შემოსავლები	12,960
ინვესტიციური ხასიათის, გრძელვადიანი შეღავათიანი კრედიტები	34,749
წინა წლების გამოუყენებელი საბიუჯეტო სახსრების დაბრუნება	3,137

სახაზინო ვალდებულებების რეალიზაციით მიღებულმა შემოსავლებმა შეადგინა 12,9 მილიონი ლარი. უნდა აღვნიშნოთ, რომ მიმდინარე წლის განმავლობაში სახაზინო ვალდებულებების ბაზარზე მიმდინარეობდა სადისკონტო განაკვეთების შემცირების პროცესი. თუკი წლის დასაწყისში – იანვარ-მარტის

საშუალო შეწონილი განაკვეთები 13,3-13,7%-ის ფარგლებში იყო, უკვე აპრილისათვის 10,9%-მდე, ხოლო *მაისისთვის 10.0%-მდე დაიწია*. პირველ ივნისს გამართულ №18-ე აუქციონზე კი *საშუალო შეწონილმა განაკვეთმა კიდევ უფრო მეტად, 9.5%-მდე დაიკლო და წლის დასაწყისთან შედარებით შემცირებამ 3,8 პროცენტული პუნქტი შეადგინა*.

თუმცა აქვე უნდა აღნიშნოს, რომ მიმდინარე წლის 8 ივნისს გამართულ აუქციონზე დაფიქსირდა ბოლო პერიოდისათვის არაორდინალური და ამ ბაზარზე შექმნილ ტენდენციებთან შეუსაბამო საპროცენტო განაკვეთი – საშუალო შეწონილი საპროცენტო განაკვეთი 18,5 პროცენტამდე გაიზარდა. აუქციონზე გასაყიდად გამოტანილ იქნა 2,000,000 (ორი მილიონი) ლარის ნომინალური ღირებულების სახაზინო ვალდებულებები. აუქციონში მონაწილეობა მიიღო 3 კომერციული ბანკის მიერ წარმოდგენილმა 13 განაცხადმა 40300 ცალ სახაზინო ვალდებულების ყიდვაზე, თანხით 4.03 მილიონი ლარი. აუქციონზე დაკმაყოფილებულ იქნა 9 კონკურენტული განაცხადი, მათ შორის 1 ნაწილობრივ და 3 არაკონკურენტული განაცხადი, რომელთა საანგარიშსწორებო ფასის საერთო თანხამ შეადგინა 1,688,000 ლარი. დაკმაყოფილებული განაცხადებიდან მინიმალურმა საპროცენტო განაკვეთმა შეადგინა 9,8 პროცენტი, მაქსიმალურმა – 19,8 პროცენტი.

*სახეზეა ბანკების მიერ განხორციელებული სპეკულაციური გარიგება. მოლაპარაკების შედეგად საშუალო შეწონილი საპროცენტო განაკვეთი ხელოვნურად 2-ჯერ გაზარდეს, რის შედეგადაც რამდენიმე ბანკმა საკმაო ოდენობის თანხა მიიღო სახელმწიფო ბიუჯეტის ხარჯზე. მსგავსი გარიგებების შეზღუდვის მიზნით საჭიროა სპეციალური ზომების მიღება. ამისათვის ფინანსთა სამინისტროს შეუძლია ორი მეთოდი გამოიყენოს: პირველი, ემისის გამოცხადებისას დააფიქსიროს საპროცენტო განაკვეთის ზღვარი, რომლის ფარგლებშიც შესაძლებელი იქნება აუქციონში მონაწილეობის მიღება და მეორე კომერციული ბანკების მიერ წარმოდგენილი განაცხადების საპროცენტო განაკვეთი არ უნდა აღემატებოდეს წინა აუქციონზე დაფიქსირებულ საშუალო*

*შეწონილ საპროცენტო განაკვეთს დამატებული სამი პროცენტული პუნქტი. აღნიშნული ქმედებები ხელს შეუშლის კომერციული ბანკების მიერ სპეკულაციურ ქმედებებს და სახაზინო ვალდებულებების საპროცენტო განაკვეთის ხელოვნურად ზრდას.*

მიუხედავად ზემო აღნიშნულისა, უნდა ითქვას, რომ მიმდინარე წლის ხუთი თვის საშუალო შეწონილი სადისკონტო განაკვეთი 2004 წლის ანალოგიურ პერიოდთან შედარებით ორჯერ შემცირდა – 24,7%-დან 12,2%-მდე.

გასულ წლებთან შედარებით, გაცილებით დაბალი საპროცენტო განაკვეთების ჩამოყალიბება ემიტენტისადმი ნდობისა და მისი კრედიტუნარიანობის შემდგომმა ამაღლებამ განაპირობა. ამას ხელს უწყობს ის გარემოებაც, რომ სამწუხაროდ სახაზინო ვალდებულებები სახელმწიფო ფასიანი ქაღალდების ბაზარზე არსებულ ერთადერთ ფინანსურ ინსტრუმენტს წარმოადგენს. ამასთან, საბიუჯეტო შემოსავლების ამოღების გაუმჯობესებამ შეამცირა ემიტირებული სახაზინო ვალდებულებების მოცულობა და მაღალი მოთხოვნის პირობებში განაკვეთების შემდგომი დაწევა განაპირობა. განაკვეთების შემცირებას გარკვეულწილად მომიჯნავე ბაზრებზე ანალოგიური ტენდენციებიც უწყობდა ხელს.

წლის დასაწყისიდან ფინანსთა სამინისტროს მიერ გამოშვებული სახაზინო ვალდებულებების მოცულობამ (ივნისის პირველი აუქციონის ჩათვლით) 32,9 მილიონი ლარი შეადგინა. ამავე პერიოდში სახაზინო ვალდებულებებზე ინვესტორთა მხრიდან მოთხოვნა 84,3 მილიონ ლარს გაუტოლდა ანუ მიწოდებას 2,6-ჯერ გადააჭარბა. შარშან, იგივე პერიოდში მოთხოვნის გადაფარვის კოეფიციენტი 2,3-ს შეადგენდა.

მიმდინარე წლის ხუთი თვის განმავლობაში ემიტირებული სახაზინო ვალდებულებების ოდენობა არსებითად, 2,8-ჯერ ნაკლებია შარშანდელ შესაბამის მაჩვენებელთან (87,0 მილიონი ლარის ნომინალური ღირებულების ფასიანი ქაღალდები) შედარებით.

გასულ წელთან შედარებით შეცვლილია ემიტირებული ფასიანი ქაღალდების სტრუქტურა შედარებით გრძელვადიანი ემისიის მატების ხარჯზე. მიმდინარე წლის განმავლობაში ემიტირებული ქაღალდების საშუალო შეწონილი ვადიანობა 305 დღეს შეადგენს, ნაცვლად წინა წლის 222 დღიანი საშუალო ვადიანობისა. 364 დღიანი ვადიანობის სახაზინო ვალდებულებებზე მოდის გამოშვებული სახაზინო ვალდებულებების 63%, ხოლო დანარჩენი 6 თვიანი ვადიანობის ფასიანი ქაღალდებია.

დეფიციტის დაფინანსების წყაროებში აღსანიშნავია ასევე ინვესტიციური ხასიათის, გრძელვადიანი შეღავათიანი კრედიტები, რომელთა ოდენობა 34,7 მილიონ ლარს შეადგენს. წინა წლების გამოუყენებელი საბიუჯეტო სახსრების დაბრუნებით სახელმწიფო ბიუჯეტში მიღებული იქნა 3,1 მილიონი ლარი.

ბოლოს განსაკუთრებული აღნიშვნის ღირსია ფინანსთა სამინისტროს სახაზინო სამსახურის სახელმწიფო ბიუჯეტის სალარე ანგარიშებზე არსებული გარდამავალი ნაშთი, რომელმაც 1 ივლისის მდგომარეობით 143,6 მილიონი ლარი შეადგინა. მათ შორის ჩართულია გრანტების ნაშთები 10,8 მილიონი ლარი, რომელიც სახელმწიფო ბიუჯეტის ხარჯებში არ არის გატარებული. სხვადასხვა უცხოურ ვალუტაში ხაზინის საბიუჯეტო სახსრების სავალუტო ანგარიშებზე არსებულმა ნაშთმა შესაბამისი ეკვივალენტით ეროვნულ ვალუტაში 88 ათასი ლარი შეადგინა.

*სახაზინო სამსახურის სალარე ანგარიშზე ამ ოდენობით ნაშთის არსებობა რამოდენიმე ფაქტორითაა განპირობებული: 1. სამინისტროებს უბრალოდ არ ჭირდებათ ამდენი ხარჯები და მათი დაგეგმვა აბსოლუტურად გაუაზრებლად ხორციელდება და 2. ქვეყანაში არსებობს ინფლაციის ზრდის საფრთხე, გამოძინარე აქედან ფინანსთა სამინისტრო ფულს ეკონომიკაში აღარ უშვებს და ეხმარება ეროვნულ ბანკს ინფლაციური პროცესების რეგულირებაში. აქვე უნდა აღვნიშნოთ ისიც, რომ მეორე კვარტლის განმავლობაში ხაზინის ანგარიშზე არსებულმა ნაშთმა 300 მილიონსაც მიაღწია, როდესაც ბიუჯეტის ანგარიშზე კაპიტალური შემოსავლები იქნა მიღებული. თუმცა, ფინანსთა*

სამინისტრომ როგორღაც მოახერხა ასეთი ოდენობის ნაშთის არსებულ  
ნიშნულამდე დაყვანა.

**3. საქართველოს 2005 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის  
გადასახდელების ექვსი თვის შესრულების მონიტორინგის  
შედეგები**

**3.1. საქართველოს 2005 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის ექვსი თვის  
გადასახდელები ეკონომიკური კლასიფიკაციის მიხედვით**

საქართველოს 2005 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის გადასახდელების გეგმა პირველ 6 თვეში ფინანსთა სამინისტროს განწერის შესაბამისად 1 501,2 მილიონი ლარით განისაზღვრა, ფაქტობრივად კი ათვისებული იქნა 1 145,4 მილიონი ლარი, რაც გეგმის 76 პროცენტია და სრულად ათვისებას 355,8 მილიონი ლარი აკლია. აღებული ვალდებულებების ოდენობამ შეადგინა 1 213,1 მილიონი ლარი, დამოწმებამ კი 1 165,6 მილიონი ლარი. გადასახდელებში ასახულია ასევე კრედიტებიდან და გრანტებიდან გაწეული ხარჯები.

*როგორც ზევით აღვნიშნეთ, გადასახდელების 6 თვის გეგმა სპეციალურადაა გაბერილი, რადგან ფინანსთა სამინისტრო ზუსტად ვერ გეგმავს მუხლობრივად ხარჯების ოდენობას და კვარტლის შივნიტ გეგმების ცვლილების ასაცილებლად დაგეგმილი აქვთ დასახარჯი ოდენობის თითქმის ნახევარჯერ მეტი.*

**ცხრილი №17. საქართველოს 2005 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის ექვსი თვის  
გადასახდელები ეკონომიკური კლასიფიკაციის მიხედვით**

(ათასი ლარი)


გადასახდელები	6 თვის გეგმა	სულ ხარჯი	გადახრა	შესრუ- ლება, %
სულ სახელმწიფო ბიუჯეტის ხარჯები	<b>1,501,224</b>	<b>1,145,421</b>	<b>-355,803</b>	<b>76</b>
მიმდინარე ხარჯები:	<b>1,227,815</b>	<b>962,869</b>	<b>-264,946</b>	<b>78</b>
მუშა-მოსამსახურეთა შრომის ანაზღაურება	137,720	126,041	-11,679	92
დამქირავებლიდან ანარიცხები	30,114	27,048	-3,066	90
მივლინებები	10,048	8,769	-1,279	87
სხვა საქონელი და მომსახურება	291,353	158,789	-132,564	55
ოფისი		8,089	8,089	



კომუნალური		17,759	17,759	
კვების ხარჯები	11,644	7,093	-4,551	61
მედიკამენტები		5,662	5,662	
რბილი ინვენტარი და უნიფორმა		2,807	2,807	
ტრანსპორტისა და ტექნიკის შენახვა		15,851	15,851	
სხვა ხარჯები		101,529	101,529	
პროცენტების გადახდა	62,792	61,363	-1,429	98
სუბსიდიები და მიმდინარე ტრანსფერტები	695,788	580,859	-114,928	83
<b>კაპიტალური ხარჯები</b>	<b>136,036</b>	<b>83,378</b>	<b>-52,658</b>	<b>61</b>
<b>დაკრედიტება, ვალების დაფარვა</b>	<b>137,374</b>	<b>99,175</b>	<b>-38,199</b>	<b>72</b>

სახელმწიფო ბიუჯეტის გადასახდელებში ძირითადი ნაწილი – 84 პროცენტი მიმდინარე ხარჯებს უკავია (იხ. დიაგრამა №22). 6 თვის გეგმის შესაბამისად უნდა დახარჯულიყო 1 227,8 მილიონი ლარი, ფაქტობრივად კი 962,8 მილიონი ლარი იქნა ათვისებული, რაც დაგეგმილის 78 პროცენტია. კაპიტალური ხარჯების წილი წარმოდგენილია 7 პროცენტით, ამ კუთხით 6 თვეში 83,3 მილიონი ლარი იქნა ათვისებული, რაც გეგმის 61 პროცენტია. ძალოვანი სრუქტურებიდან, საქართველოს თავდაცვის სამინისტროს კაპიტალური ხარჯების დაფინანსებამ შეადგინა 56,7 მილიონი ლარი, რაც გეგმიური მაჩვენებლის (93,3 მილიონი ლარი) 61 პროცენტი, ხოლო ექვსი თვის კაპიტალური ხარჯების მთლიანი მოცულობის 67 პროცენტია. საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს დაფინანსებამ შეადგინა 5,9 მილიონი ლარი, ანუ გეგმის 65 პროცენტი. სახელმწიფო დაცვის სპეციალური სამსახურის დაფინანსებამ შეადგინა 2,9 მილიონი ლარი, ანუ გეგმის 72 პროცენტი.

**დიაგრამა №22. საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტის ექვსი თვის გადასახდელები ეკონომიკური კლასიფიკაციის მიხედვით**




მიმდინარე სარჯებში დაფინანსების საკმაოდ მაღალი მაჩვენებლით გამოირჩევა მუშა-მოსამსახურეთა შრომის ანაზღაურების სარჯები, რომელთა ექვსი თვის გეგმა განსაზღვრული იყო 137,7 მილიონი ლარით, ფაქტობრივად კი 126 მილიონი ლარი იქნა ათვისებული, რაც გეგმის 92 პროცენტია. აღნიშნული მუხლი მთლიან გადასახდელებში 11 პროცენტს იკავებს, მიმდინარე სარჯებში კი 13 პროცენტითაა წარმოდგენილი (იხ. დიაგრამა №23).

დამქირავებელიდან ანარიცხების გეგმა განსაზღვრული იყო 30,1 მილიონი ლარით, ფაქტობრივად კი ათვისებული იქნა 27 მილიონი ლარი, რაც გეგმის 90 პროცენტია. გადასახდელებში მისი წილი შეადგენს 2 პროცენტს, მიმდინარე სარჯებში კი 3 პროცენტითაა წარმოდგენილი.

მივლინებები დაფინანსებულია 87 პროცენტით. დაგეგმილი იყო 10 მილიონი ლარის სარჯვა, თუმცა მხოლოდ 8,7 მილიონი ლარი იქნა ათვისებული. მოცემული მუხლი გადასახდელებში 0,8, ხოლო მიმდინარე სარჯებში 0,9 პროცენტს იკავებს. მივლინების თანხები სხვადასხვა უწყებების მიხედვით შემდეგნაირად ნაწილდება: კონფლიქტების მოგვარების საკითხებში საქართველოს სახელმწიფო მინისტრის აპარატი – 26.6 ათასი ლარი, ანუ გეგმის 99 პროცენტი; საქართველოს კონტროლის პალატა – 158.7 ათასი

ლარი, ანუ გეგმის 100 პროცენტი; ცენტრალური საარჩევნო კომისიის აპარატი – 4.8 ათასი ლარი, ანუ გეგმის 100 პროცენტი; საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლო – 20 ათასი ლარი, ანუ გეგმის 100 პროცენტი; საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტროს აპარატი – 81.5 ათასი ლარი, გეგმის 81 პროცენტი; სახელმწიფო ანტიმონოპოლიური სამსახური – 2.5 ათასი ლარი, გეგმის 100 პროცენტი; საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტი – 22 ათასი ლარი, ანუ გეგმის 73 პროცენტი; საგარეო საქმეთა სამინისტრო – 569.8 ათასი ლარი, გეგმის 100 პროცენტი; საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს აპარატი – 25.1 ათასი ლარი, გეგმის 87 პროცენტი; საქართველოს კულტურის, ძეგლთა დაცვისა და სპორტის სამინისტროს აპარატი – 8.2 ათასი ლარი, გეგმის 90 პროცენტი; საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს შრომის ინსპექცია – 3.5 ათასი ლარი, გეგმის 100 პროცენტი.

დიაგრამა №23. საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტის ექვსი თვის მიმდინარე ხარჯები



სხვა საქონელი და მომსახურების მუხლიდან გასაწევი ხარჯების ექვსი თვის გეგმა განისაზღვრა 291,3 მილიონი ლარით, ფაქტობრივად კი ათვისებულია 158,7 მილიონი ლარი, რაც გეგმიური მაჩვენებლის 55 პროცენტია. აღნიშნული მუხლი მთლიან გადასახდელებში იკავებს 14 პროცენტს, ხოლო მიმდინარე ხარჯებში 16 პროცენტითაა წარმოდგენილი. მოცემული მუხლიდან კვების ხარჯების დაფინანსებაზე გამოყოფილი იქნა 11,6 მილიონი ლარი, თუმცა მის სრულად ათვისებას 4,6 მილიონი ლარი დააკლდა.

„სხვა საქონელი და მომსახურების“ მუხლიდან ხდება საზღვარგარეთ საქართველოს დიპლომატიურ წარმომადგენლობათა ხარჯების დაფინანსება, რომელიც მოიცავს დიპლომატიური კორპუსის სახელფასო და საცხოვრებელ ხარჯებს. 2005 წლის იანვარ-ივნისში საელჩოების შენახვისათვის განსაზღვრული იყო 10,6 მილიონი ლარის ხარჯი, რაც 100 პროცენტით იქნა ათვისებული.

*უნდა აღინიშნოს, რომ საზღვარგარეთ საქართველოს დიპლომატიურ წარმომადგენლობებსა და საკონსულო დაწესებულებებში მიღებულ საკონსულო მოსაკრებელთა და ბიუჯეტის სხვა შემოსულობების სახით 2005 წლის იანვარ-ივნისში სახაზინო სამსახურის ანგარიშების გვერდის ავლით გახარჯული იქნა 2,8 მილიონი ლარი. აღნიშნულ ოპერაციას საქართველოს მთავრობა ახორციელებს საქართველოს პრეზიდენტის 2004 წლის 6 მარტის №82 ბრძანებულების მიხედვით, რაც ეწინააღმდეგება საქართველოს კანონს “საბიუჯეტო სისტემის შესახებ”. აღნიშნული კანონის მე-4 მუხლის ზ) ქვეპუნქტში ნათქვამია: “კონსოლიდირება – ყველა სახელმწიფო შემოსულობის ხაზინის ერთიანი ანგარიშის სისტემაში მოქცევა და ხარჯების გაწევა საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, ხაზინის ერთიანი ანგარიშის სისტემის ანგარიშების მართვა სახელმწიფო ხაზინის მიერ და მათი განთავსება ეროვნულ ბანკში”. ანუ ყველა თანხები უნდა ირიცხებოდეს ხაზინის ერთიანი ანგარიშის სისტემაში. აქედან გამომდინარე, “საბიუჯეტო სისტემის შესახებ” კანონის დარღვევით იქნა მიღებული პრეზიდენტის აღნიშნული*

*ბრძანებულება და ამავე კანონის საწინააღმდეგოდ გაკეთდა ჩანაწერი “2005 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ” კანონში.*

“სხვა საქონელი და მომსახურების” მუხლიდან ხდება ორგანიზებულად ჩასახლების ადგილებზე დევნილთა და ლტოლვილთა შენახვის ხარჯების (მოსმარებული ელექტროენერჯისა და წყლის ღირებულების, ორგანიზებულად ჩასახლების ადგილებზე დასაქმებული პერსონალის ხელფასების) დაფინანსება. აღნიშნულმა ხარჯებმა შეადგინა 9,2 მილიონი ლარი, რაც 80 პროცენტს შეადგენს. ამავე მუხლიდან წინა წლებში წარმოქმნილ დავალიანებებზე სასამართლო გადაწყვეტილებებით დაკისრებული თანხების სახით, საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ, სახაზინო სამსახურის ანგარიშებიდან იძულების წესით ჩამოჭრილი იქნა 469.7 ათასი ლარი.

2005 წლის პირველ 6 თვეში “სუბსიდიებისა და მიმდინარე ტრანსფერტების” მუხლით გამოსაყოფი თანხების გეგმა 695,7 მილიონი ლარით განისაზღვრა, ფაქტობრივად კი პერიოდის ბოლოს 580,8 მილიონი ლარი იქნა ათვისებული, რაც გეგმის 83 პროცენტია და სრულად ათვისებას 114,9 მილიონი ლარი აკლია. აღნიშნული მუხლის წილი გადასახდელებში 51 პროცენტს შეადგენს, ხოლო მიმდინარე ხარჯებში 61 პროცენტითაა წარმოდგენილი.

ტერიტორიული ერთეულების ბიუჯეტებს ტრანსფერტის სახით გადაერიცხათ 72,6 მილიონი ლარი, ანუ გეგმის 91 პროცენტი. აქედან სოციალური ღონისძიებების დასაფინანსებლად გადარიცხული ფინანსური დახმარების მოცულობამ შეადგინა 62,2 მილიონი ლარი, ანუ გადარიცხული ტრანსფერტების მთლიანი მოცულობის 86 პროცენტი, ხოლო სპეციალურ ღონისძიებებზე მიიმართა 10,4 მილიონი ლარი.

დევნილთა შემწეობების დაფარვაზე მიიმართა 18,6 მილიონი ლარი, ანუ დაგეგმილის 100 პროცენტი. სოციალური დაზღვევის ერთიან სახელმწიფო ფონდს პენსიონერთა პენსიების დასაფინანსებლად გადაერიცხა 223 მილიონი ლარი, ანუ გეგმის 99 პროცენტი. აქედან პენსიების გაცემაში წინა წლებში

წარმოქმნილი დავალიანების დასაფარად მიმართული იქნა 46,1 მილიონი ლარი, რაც გეგმის 99 პროცენტს შეადგენს.

სუბსიდიისა და ტრანსფერტების მუხლიდან საანგარიშო პერიოდში ენერგოსისტემის სუბსიდირებისათვის მიიმართა 30,3 მილიონი ლარი, ანუ გეგმის 100 პროცენტი. კულტურის დაწესებულებების სუბსიდირებისათვის გაწეულმა ხარჯებმა შეადგინა 14,6 მილიონი ლარი, ანუ გეგმის 81 პროცენტი. განათლების სისტემის სუბსიდირებისათვის მიმართული იქნა 32,1 მილიონი ლარი, ანუ გეგმის 94 პროცენტი. საქართველოს ტელევიზიასა და რადიომაუწყებლობას გადაერიცხა 8,5 მილიონი ლარი, ანუ გეგმის 92 პროცენტი.

მიმდინარე წლის პირველ ექვს თვეში საგარეო სახელმწიფო ვალდებულებების მომსახურებისათვის მიიმართა 19,92 მილიონი ლარი, რაც გეგმის (21,1 მილიონი ლარი) 94 პროცენტია. აქედან საგარეო ვალის ძირითადი თანხის დაფარვისათვის მიიმართა 90,7 მილიონი ლარი. მათ შორის: “საქართველოს 2005 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ” საქართველოს კანონით, დადგენილი წესის შესაბამისად ფინანსთა სამინისტროსა და შპს “თბილავიამშენს” შორის გაფორმებული ხელშეკრულების საფუძველზე, შპს “თბილავიამშენს” თურქმენეთისათვის საგარეო ვალის დაფარვის ანგარიშში პროდუქციის რეალიზაციისა და მომსახურების გაწევისათვის გადაერიცხა 63 მილიონი ლარი, ხოლო ვალის მომსახურების ანგარიშში გადაერიცხა 5,3 მილიონი ლარი. ამავე დანიშნულებით ს.ს. “ქართულ შაქარს” ვალის ძირითადი თანხის დაფარვის ანგარიშში გადაერიცხა 9,6 მილიონი ლარი, ხოლო ვალის მომსახურების ანგარიშში – 287 ათასი ლარი.


საშინაო სახელმწიფო ვალდებულებების მომსახურებისათვის იანვარ-ივნისში გაწეულმა ხარჯებმა შეადგინა 41,4 მილიონი ლარი. მათ შორის: ეროვნული ბანკის სესხის და სავალო ვალდებულებების მომსახურებისათვის მიიმართა 37,6 მილიონი ლარი, ხოლო სახაზინო ვალდებულებების დისკონტის ხარჯების დასაფარად – 3,8 მილიონი ლარი.

### 3.2 საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტის გადასახდელები ფუნქციონალური კლასიფიკაციის მიხედვით

2005 წლის 6 თვეში სახელმწიფო ბიუჯეტიდან გაწეული ხარჯები ფუნქციონალური კლასიფიკაციის მიხედვით შემდეგი სტრუქტურით ხასიათდება:

2005 წლის 6 თვეში სახელმწიფო ბიუჯეტიდან გაწეული ხარჯების ყველაზე დიდი წილი (23 პროცენტი) სოციალურ დაზღვევასა და სოციალურ უზრუნველყოფაზე მოდის (იხ. დიაგრამა №24). აღნიშნული ხარჯები მთლიანი შიდა პროდუქტის 5,5 პროცენტს შეადგენს (იხ. ცხრილი №18). საანგარიშო პერიოდში სოციალური დაზღვევისა და სოციალური უზრუნველყოფის ხაზით დაგეგმილი იყო 279,6 მილიონი ლარის გამოყოფა, ფაქტობრივად კი 277,8 მილიონი ლარის ხარჯი იქნა გაწეული, ანუ გეგმის 98 პროცენტი. მათ შორის, სოციალური დაზღვევის ხარჯების მოცულობა 240,4 მილიონ ლარს შეადგენს, ხოლო საპენსიო პროგრამების დაფინანსება კი – 223,1 მილიონ ლარს (იხ. ცხრილი №19).

დიაგრამა №24. 2005 წლის 6 თვეში სახელმწიფო ბიუჯეტიდან სფეროების დაფინანსების მაჩვენებლები



**ცხრილი №18. 2005 წლის 6 თვეში სახელმწიფო ბიუჯეტიდან სფეროების დაფინანსების მაჩვენებლები მშპ-სთან მიმართებაში**

ფუნქციონალური კატეგორიები	2005 წლის 6 თვე	
	ათას ლარებში	წილი მშპ-ში
საერთო დანიშ. მომს.	119,596	2.4
თავდაცვა	155,213	3.1
საზ. წესრიგი და უშიშროება	113,977	2.2
განათლება	33,835	0.7
ჯან. დაცვა	67,507	1.3
სოც. უზრუნველყოფა	277,759	5.5
კულტურა, სპორტი, რელიგია	19,630	0.4
სათბობ-ენერგეტიკა	78,061	1.5
სოფლის მეურნეობა	19,832	0.4
ტრანსპორტი და კავშირგაბმულობა	27,605	0.5
სხვა ხარჯები	225,237	4.4
დანარჩენი ფუნქციონალური კატეგორიები	7,167	0.1
<b>სულ სახელმწიფო ბიუჯეტის გადასახდელები</b>	<b>1,145,421</b>	<b>22.5</b>

სახელმწიფო ხარჯების კიდევ ერთ უდიდეს მუხლს წარმოადგენს “სხვა ხარჯების” კატეგორია, რომლის წილად სახელმწიფო ბიუჯეტის ხარჯების 20 პროცენტი მოდის, ხოლო მთლიანი შიდა პროდუქტის 4,4 პროცენტი. ამ მუხლით მიმდინარე წლის 6 თვეში დაიხარჯა 225,2 მილიონი ლარი. აქედან, სახელმწიფო ვალდებულებებით ოპერაციების დაფინანსების მოცულობა 152,1 მილიონი ლარია. საერთო ხასიათის ტრანსფერტები სახელმწიფო მმართველობის სხვადასხვა დონეებს შორის, მათ შორის სუბვენციების დაფინანსებამ შეადგინა 72,7 მილიონი ლარი ანუ გეგმის 91 პროცენტი. “სხვა ხარჯები, რომლებიც არ არის კლასიფიცირებული ფუნქციონალური კლასიფიკაციის სხვა ძირითადი ჯგუფებით”, ხარჯმა შეადგინა 469,7 ათასი



ლარი (გეგმის 84,7 მილიონი ლარის 1 პროცენტი). აღნიშნული მუხლის საგეგმო მაჩვენებელში გათვალისწინებულია გასული წლების დავალიანებების დაფარვის ფონდის ასივნება, რაც წარმოადგენს სასამართლო გადაწყვეტილებებით ხაზინის ანგარიშებიდან იძულების წესით, საინკასო დავალებების საფუძველზე, სასამართლო გადაწყვეტილებების აღსრულების ფონდის ანგარიშში ჩამოჭრილ თანხებს.

მიმდინარე წლის 6 თვეში ხარჯები თავდაცვაზე გაიზარდა ბიუჯეტის გადასახდელების 14 პროცენტამდე. ეს დაკავშირებულია თავდაცვის პოლიტიკაში მომხდარ ცვლილებებთან. როგორც ცნობილია თავდაცვა საქართველოს მთავრობის მიერ ერთ-ერთ პრიორიტეტადაა გამოცხადებული. თავდაცვის ღონისძიებების ხარჯების დასაფინანსებლად საანგარიშო პერიოდში დაგეგმილი იყო 227,9 მილიონი ლარის გამოყოფა, ფაქტობრივად კი 155,2 მილიონი ლარის ხარჯი იქნა გაწეული. მათ შორის სამხედრო საჭიროებასთან და სამოქალაქო თავდაცვასთან დაკავშირებული საქმიანობის და ორგანიზაციის ხარჯებმა შეადგინა 154,6 მილიონი ლარი გეგმის 68 პროცენტი. აღნიშნული ხარჯები მთლიანი შიდა პროდუქტის 3,1 პროცენტს შეადგენს.

**ცხრილი №19 საქართველოს 2005 წლის 6 თვის სახელმწიფო ბიუჯეტის  
გადასახდელები ფუნქციონალური კლასიფიკაციის მიხედვით**

(ათასი ლარი)

დასახელება	გეგმა	ხარჯი	გადახრა	შესრულება, %
საერთო დანიშნულების სახელმწიფო მომსახურება	165,247	119,596	-45,650	72
თავდაცვა	227,961	155,213	-72,748	68
საზოგადოებრივი წესრიგი და უშიშროება	129,938	113,977	-15,961	88
განათლება	36,567	33,835	-2,731	93
ჯანმრთელობის დაცვა	89,620	67,507	-22,114	75
სოციალური დაზღვევა და სოციალური უზრუნველყოფა	284,847	277,759	-7,088	98

საბინაო-კომუნალური მეურნეობა	0	0	0	0
საქმიანობა კულტურის, სპორტისა და რელიგიის სფეროში	23,545	19,630	-3,915	83
სათბობ-ენერგეტიკული კომპლექსი	124,518	78,061	-46,457	63
სოფლის მეურნეობა, სატყეო მეურნეობა, მეთევზეობა და მონადირეობა	28,260	19,832	-8,427	70
სამთომომპოვებელი მრეწველობა და სასარგებლო წიაღისეული სათბობის გარეშე; გადამამუშავებელი მრეწველობა; მშენებლობა	354	303	-51	85
ტრანსპორტი და კავშირგაბმულობა	39,544	27,605	-11,939	70
გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვა და ეკონომიკურ საქმიანობასთან დაკავშირებული სხვა მომსახურება	13,359	6,864	-6,495	51
ხარჯები, რომლებიც არ განეკუთვნება ძირითად განყოფილებებს	337,463	225,237	-112,225	67
<b>სულ სახელმწიფო ბიუჯეტის გადასახდელები</b>	<b>1,501,224</b>	<b>1,145,421</b>	<b>-355,803</b>	<b>76</b>

მიმდინარე წლის 6 თვეში საერთო დანიშნულების სახელმწიფო მომსახურების ხაზით გაწეულმა ხარჯმა შეადგინა 119,6 მილიონი ლარი, რაც გეგმიური მაჩვენებლის 72 პროცენტს შეადგენს. აქედან საგარეო-პოლიტიკური საქმიანობის დაფინანსების მოცულობა შეადგენს 17,9 მილიონ ლარს, საკანონმდებლო და აღმასრულებელი ორგანოების ხარჯების დაფინანსება 23,5 მილიონ ლარს, ხოლო საფინანსო და საგადასახადო-საბიუჯეტო საქმიანობის ხარჯები კი 40,6 მილიონ ლარს. უნდა აღინიშნოს, რომ საერთო დანიშნულების სახელმწიფო ხარჯებს საანგარიშო პერიოდის მთლიან შიდა პროდუქტში 2,4 პროცენტი, ხოლო სახელმწიფო ბიუჯეტის გადასახდელებში 10 პროცენტი უჭირავს.

საზოგადოებრივი წესრიგისა და უშიშროების საზით 2005 წლის ექვს თვეში განსაზღვრული იყო 129,9 მილიონი ლარის გამოყოფა, ხოლო გაწეულმა ხარჯმა შეადგინა 113,9 მილიონი ლარი, რაც სახელმწიფო ბიუჯეტის ექვსი თვის მთლიანი ხარჯების 10 პროცენტია. მათ შორის, საზოგადოებრივი წესრიგის დაცვასთან და უშიშროებასთან დაკავშირებული საქმიანობის, რომელიც არ განეკუთვნება სხვა კატეგორიებს, დაფინანსებამ შეადგინა 95,1 მილიონი ლარი. სასამართლო ორგანოების ხარჯების დაფინანსებლად მიიმართა 12,6 მილიონი ლარი, ხოლო ციხეების მუშაობის მართვის დასაფინანსებლად – 6,3 მილიონი ლარი.

მიმდინარე წლის ექვს თვეში განათლების სფეროს დასაფინანსებლად გაწეულმა ხარჯმა შეადგინა 33,8 მილიონი ლარი, ანუ გეგმის 93 პროცენტი. აქედან დიდი ხვედრითი წილი უჭირავს უმაღლესი განათლების დაფინანსებას (11,4 მილიონი ლარი), რაც განათლების სფეროს მთლიანი ხარჯების 34 პროცენტია. საშუალო განათლების საფეხურის დაფინანსებამ კი 9,5 მილიონი ლარი შეადგინა, ანუ განათლების სფეროს მთლიანი ხარჯების 28 პროცენტი. აღნიშნულ ხარჯებს საანგარიშო პერიოდის მთლიან შიდა პროდუქტში 0,7 პროცენტი უკავია, ხოლო სახელმწიფო ბიუჯეტის გადასახდელებში კი – 3 პროცენტი.

ჯანმრთელობის დაცვის ხარჯების დასაფინანსებლად მიმართული იქნა 67,5 მილიონი ლარი. მათ შორის ჯანმრთელობის დაცვის სახელმწიფო პროგრამების დაფინანსებამ – 45,2 მილიონი ლარი, ხოლო ჯანმრთელობის დაცვის სფეროში სხვა საქმიანობის დაფინანსებამ 22,3 მილიონი ლარი შეადგინა.

2005 წლის 6 თვეში კულტურისა და სპორტის სფეროში გაწეულმა ხარჯებმა სახელმწიფო ბიუჯეტის მთლიანი ხარჯების 2 პროცენტი შეადგინა. აღნიშნული სფეროს დასაფინანსებლად მიიმართა 19,6 მილიონი ლარი, რაც გეგმის 83 პროცენტს შეადგენს. მათ შორის, მნიშვნელოვანია ტელევიზიისა და რადიომაუწყებლობის, საგამომცემლო დაწესებულებების და სამსახურების დაფინანსება, რომლის ხარჯებმა შეადგინა 8,7 მილიონი ლარი. დასვენების

ორგანიზაციისა და სპორტის სფეროში საქმიანობის დაფინანსებამ შეადგინა 2,9 მილიონი ლარი ანუ გეგმის 71 პროცენტი, კულტურის სფეროში საქმიანობის დაფინანსებამ კი – 3,8 მილიონი ლარი.

სათბობ-ენერგეტიკული კომპლექსის ხაზით 2005 წლის ექვს თვეში გაწეულმა ხარჯმა შეადგინა 78,1 მილიონი ლარი. აღნიშნულ ხარჯებში დიდი ხვედრითი წილი აქვს ელექტროენერჯისა და სხვა ენერგომომცველების დაფინანსებას, რომელიც შეადგენს სათბობ-ენერგეტიკული კომპლექსის მთლიანი ხარჯების 39 პროცენტს. სათბობ-ენერგეტიკული კომპლექსის სფეროში საქმიანობის და მომსახურების ხარჯები, რომლებიც არ განეკუთვნება სხვა კატეგორიებს, დაფინანსებულია 42,4 მილიონი ლარით. ექვსი თვის გადასახდელებში ენერგეტიკის წილი 1,5 პროცენტია.

მიმდინარე წლის ექვს თვეში სოფლის მეურნეობის ხარჯების მოცულობამ შეადგინა 19,8 მილიონი ლარი, ანუ გეგმის 70 პროცენტი. აღნიშნულ ხარჯებში სოფლის მეურნეობის დაფინანსებამ შეადგინა 8,2 მილიონი ლარი, ხოლო სოფლისა და წყალთა მეურნეობის დაფინანსებამ შეადგინა 8,4 მილიონი ლარი, სატყეო მეურნეობის დაფინანსებამ კი – 3,2 მილიონი ლარი ანუ გეგმის 95 პროცენტი.

სამთომომპოვებელი მრეწველობისა და სასარგებლო წიაღისეულის (სათბობის გარეშე), გადამამუშავებელი მრეწველობის, მშენებლობის ხაზით 2005 წლის ექვს თვეში დაგეგმილი იყო 353,9 ათასი ლარის გამოყოფა, ხოლო ფაქტობრივმა ხარჯმა შეადგინა 302,5 ათასი ლარი.

ტრანსპორტისა და კავშირგაბმულობის ხარჯების დასაფინანსებლად 2005 წლის ექვს თვეში მიიმართა 27,6 მილიონი ლარი. მათ შორის საავტომობილო გზების მშენებლობის ხარჯების დაფინანსება შეადგენს მთლიანი ხარჯების 100 პროცენტს.

**3.3 საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტის გადასახდელები ღონისძიებების კლასიფიკაციის მიხედვით**

სახელმწიფო ბიუჯეტის 2005 წლის 6 თვეში გზების ღონისძიებებზე გაწეულმა ხარჯებმა შეადგინა 28,9 მილიონი ლარი და გეგმის 69 პროცენტი (იხ. ცხრილი №20). მათ შორის დიდია ხვედრითი წილი გზების მოვლა-შეკეთებაზე გაწეული ხარჯებისა, რომელმაც 28,2 მილიონი ლარი, ანუ გზების მთლიანი ხარჯების 98 პროცენტი შეადგენა. გზების რეაბილიტაციაზე კი გაწეული იქნა 1,2 მილიონი ლარის ხარჯები.

**ცხრილი №20. საქართველოს 2005 წლის 6 თვის გადასახდელები ღონისძიებების კლასიფიკაციის მიხედვით**

(ათასი ლარი)

ღონისძიების დასახელება	გეგმა	ხარჯი	გადახრა	შესრულება %-ში
გზები	41,920	28,850	13,070	69
სოფლის მეურნეობა	24,685	16,442	8,243	67
გარემოს დაცვა	13,790	7,257	6,534	53
ბუნებრივი რესურსები	3,195	3,101	94	97
ტრანსპორტი და კომუნიკაციები	8,593	4,754	3,839	55
ენერგეტიკა	124,518	78,061	46,457	63
განათლება	33,212	30,381	2,831	91
კულტურა	23,442	20,966	2,476	89
სპორტი	4,326	3,183	1,143	74
ტურიზმი	690	317	373	46
ჯანმრთელობის დაცვა	81,594	63,444	18,150	78
სოციალური დაცვა	292,100	281,224	10,876	96
მეცნიერება	9,565	8,999	565	94
საერთო მართვა	115,199	83,652	31,547	73
საგარეო ურთიერთობები	18,567	18,037	530	97
არაკლასიფიცირებული ფინანსური ნაკადები	349,765	228,702	121,063	65
თავდაცვა	228,794	155,951	72,843	68
მართლწესრიგის დაცვა	127,268	112,100	15,168	88

საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტის ხარჯები	1,501,224	1,145,421	355,803	76
-----------------------------------------	-----------	-----------	---------	----

მიმდინარე წლის იანვარ-ივნისში სოფლის მეურნეობის ღონისძიებებზე გაწეული ხარჯების მოცულობამ შეადგინა 16,4 მილიონი ლარი, ანუ გეგმის 67 პროცენტი. აქედან სოფლის მეურნეობის მართვის ღონისძიებებზე გაწეული ხარჯები 5,5 მილიონ ლარს შეადგენს. ასევე, მიწების გაუმჯობესებისათვის (პროგრამა “სურსათის უზრუნველყოფისათვის წყლის მართვა”) დახარჯულია 1,4 მილიონი ლარი, რაც გეგმის 80 პროცენტს შეადგენს. მეცხოველეობის განვითარების და დაცვის ღონისძიებების ხარჯებმა შეადგინა 1,8 მილიონი ლარი, ხოლო სოფლის მეურნეობის დარგის საინვესტიციო ღონისძიებების ხარჯებმა კი – 6,9 მილიონი ლარი.

საანგარიშო პერიოდში ბუნებრივი რესურსებისა და გარემოს დაცვის ღონისძიებებზე გაწეულმა ხარჯებმა შესაბამისად შეადგინა 3,1 და 7,3 მილიონი ლარი. ტრანსპორტისა და კომუნიკაციების ღონისძიებებზე გეგმით გამოყოფილი იყო 8,9 მილიონი ლარი, ფაქტობრივად კი 3,8 მილიონი ლარით ნაკლები ხარჯი იქნა გაწეული. ენერგეტიკის სფეროში გაწეული ღონისძიებები დაფინანსდა 78,1 მილიონი ლარით, რაც გეგმის 63 პროცენტია. აღნიშნული ხარჯები სახელმწიფო ბიუჯეტის ექვსი თვის მთლიანი ხარჯების 7 პროცენტს შეადგენს. ენერგოსისტემის სუბსიდირების მოცულობამ შეადგინა 49,6 მილიონი ლარი. მათ შორის ელექტროენერჯით მომარაგების უზრუნველყოფისათვის განსაზღვრულ (ენგურჰესის რეაბილიტაციის პროგრამით და ჰესის გაჩერების გათვალისწინებით) ღონისძიებებზე გაწეულმა ხარჯმა შეადგინა 18,9 მილიონი ლარი. ენერგეტიკის მართვის ღონისძიებებზე კი მიიმართა 1,1 მილიონი ლარი.

მიმდინარე წლის 6 თვეში განათლების ღონისძიებების დაფინანსების მოცულობამ შეადგინა 30,3 მილიონი ლარი. აქედან, საშუალო ზოგადსაგანმანათლებლო ღონისძიებების ხარჯები 4,5 მილიონ ლარს შეადგენს, უმაღლესი პროფესიული განათლების ღონისძიებების ხარჯები – 12,2 მილიონ

ლარს, ხოლო საშუალო პროფესიული განათლების და დაწყებითი პროფესიული განათლების ღონისძიებების ხარჯები კი შესაბამისად – 1,1 მილიონი ლარს და – 713,2 ათასი ლარს.

კულტურული ღონისძიებების დასაფინანსებლად 2005 წლის ექვს თვეში მიიმართა 20,9 მილიონი ლარი, ანუ გეგმის (23,4 მილიონი ლარის) 89 პროცენტი. მათ შორის თეატრები, ფილარმონიები, მუსიკალური კოლექტივები, ანსამბლები და სხვა ღონისძიებების დაფინანსება შეადგენს 3,6 მილიონ ლარს. ისტორიისა და კულტურის ძეგლთა დაცვის ღონისძიებები დაფინანსებულია 103,7 ათასი ლარით. კულტურული ღონისძიებების მთლიანი მოცულობის 41 პროცენტს (8,6 მილიონ ლარს) შეადგენს ტელევიზიის სახელმწიფო ღონისძიებების დაფინანსება, რაც საანგარიშო პერიოდის საგეგმო მაჩვენებლის 92 პროცენტია. საზოგადოებრივი ორგანიზაციების ხელშეწყობის ღონისძიებებიდან სპეციალური საპრეზიდენტო პროგრამის ხარჯებმა შეადგინა 1,2 მილიონი ლარი. აღნიშნულ პერიოდში სპორტისა და ტურიზმის ღონისძიებებზე გაწეულმა ხარჯების მოცულობამ კი შეადგინა 3,5 მილიონი ლარი.

ჯანმრთელობის დაცვის ღონისძიებების დასაფინანსებლად გაწეული ხარჯების მოცულობა შეადგენს 63,4 მილიონ ლარს. აღნიშნულ ღონისძიებებზე გაწეული ხარჯები სახელმწიფო ბიუჯეტის ექვსი თვის მთლიანი ხარჯების 6 პროცენტს შეადგენს. მათ შორის ჯანმრთელობის დაცვის მართვის ღონისძიებების ხარჯებმა შეადგინა 3,3 მილიონი ლარი, მოსახლეობის ამბულატორიული დახმარების ღონისძიებების დაფინანსებამ შეადგინა 11,3 მილიონი ლარი, რაც გეგმის 85 პროცენტია, ხოლო მოსახლეობის სტაციონარული დახმარების სახელმწიფო ღონისძიებების დაფინანსებამ შეადგინა 24,5 მილიონი ლარი, ანუ გეგმის 92 პროცენტი. მოსახლეობის სპეციფიკური მედიკამენტებით უზრუნველყოფის ღონისძიებების დასაფინანსებლად მიიმართა 6,8 მილიონი ლარი და ჯანმრთელობის დაცვის ღონისძიებების მთლიანი ხარჯების 11 პროცენტი შეადგინა. აივ/შიდსის,

ტუბერკულოზისა და მალარიის პრევენციისა და კონტროლის პროგრამა კი მიმდინარე წლის ექვს თვის გეგმასთან შედარებით 126 პროცენტითაა დაფინანსებული.

საანგარიშო პერიოდში სოციალური დაცვის ღონისძიებების დასაფინანსებლად გეგმით გათვალისწინებული იყო 292,1 მილიონი ლარის გამოყოფა, ფაქტობრივად კი გაწეული იქნა 281,2 მილიონი ლარის ხარჯი, რაც სახელმწიფო ბიუჯეტის 6 თვის მთლიანი ხარჯების 25 პროცენტს შეადგენს. ამ კატეგორიის ღონისძიებების ხარჯებში დიდი ხვედრითი წილი მოდის საპენსიო უზრუნველყოფის ღონისძიებების დაფინანსებაზე (79 პროცენტი), დენილთა და ლტოლვილთა სოციალური დაცვის ღონისძიებების დაფინანსებაზე (10 პროცენტი) და უმწეოთა სოციალური (ოჯახების) დახმარების დაფინანსებაზე.

საერთო მართვის ღონისძიებების დასაფინანსებლად მიმართული იქნა 83,6 მილიონი ლარი, რაც გეგმის 73 პროცენტს შეადგენს. აქედან, საკანონმდებლო საქმიანობის და კონტროლის ღონისძიებების დაფინანსებამ შეადგინა 11,7 მილიონი ლარი, აღმასრულებელი ხელისუფლების კოორდინაციის ღონისძიებების დაფინანსების მოცულობამ კი შეადგინა 13,9 მილიონი ლარი. ეკონომიკური პროცესების მართვისა და რეგულირების ღონისძიებების დასაფინანსებლად მიიმართა 45,6 მილიონი ლარი, ანუ გეგმის 92 პროცენტი და საერთო მართვის ღონისძიებების მთლიანი ხარჯების მოცულობის 54 პროცენტი შეადგინა.

საგარეო ურთიერთობათა ღონისძიებების დაფინანსებისათვის 2005 წლის ექვს თვეში გაწეული იქნა 18,0 მილიონი ლარი. მათ შორის დიპლომატიური წარმომადგენლობების დაფინანსება შეადგენს 10,8 მილიონ ლარს, ხოლო საერთაშორისო ორგანიზაციებში მონაწილეობის ღონისძიებების დაფინანსება შეადგენს 4,2 მილიონ ლარს.

არაკლასიფიცირებული ფინანსური ნაკადების მოცულობის მაჩვენებელია 228,7 მილიონი ლარი. აქედან, საშინაო ვალის მომსახურების მოცულობამ



შეადგინა 45,4 მილიონი ლარი, რაც გეგმის 34 პროცენტია, ხოლო საგარეო ვალის მომსახურების ღონისძიებების დაფინანსებამ შეადგინა 110,647 მილიონი ლარი, ანუ გეგმის 85 პროცენტი. ტერიტორიულ ბიუჯეტებში ტრანსფერტების მოცულობამ მიმდინარე წლის ექვს თვეში შეადგინა 72,7 მილიონი ლარი.

სახელმწიფო ბიუჯეტის 2005 წლის ექვსი თვის ხარჯების მთლიანი მოცულობის 14 პროცენტი ანუ 155,9 მილიონი ლარი იქნა მიმართული თავდაცვის ღონისძიებების დასაფინანსებლად. მათ შორის თავდაცვის მართვის ღონისძიებების დასაფინანსებლად მიიმართა 145,6 მილიონი ლარი, ხოლო საზღვრის დაცვის გაუმჯობესების ღონისძიებების დასაფინანსებლად კი – 8,9 მილიონი ლარი.

მართლწესრიგის დაცვის ღონისძიებების დაფინანსებამ 112,1 მილიონი ლარი ანუ გეგმის 88 პროცენტი და სახელმწიფო ბიუჯეტის 2005 წლის ექვსი თვის მთლიანი ხარჯების 10 პროცენტი შეადგინა. აქედან საზოგადოებრივი უსაფრთხოების და წესრიგის დაცვის ღონისძიებების დაფინანსების მოცულობამ შეადგინა 96,3 მილიონი ლარი. მაღალი რანგის თანამდებობის პირთა და სტრატეგიული დანიშნულების ობიექტების დაცვის ღონისძიებების დასაფინანსებლად კი მიმართული იქნა 14,5 მილიონი ლარი. საზოგადოებრივი უსაფრთხოებისა და მართლწესრიგის დამცავ უწყებებში საინვესტიციო პროექტების დაფინანსების მოცულობამ საანგარიშო პერიოდში შეადგინა 7,5 მილიონი ლარი, რაც გეგმის 92 პროცენტია.

### ***3.4 საქართველოს 2005 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის პრეზიდენტის და მთავრობის სარეზერვო ფონდები 1 ივლისის მდგომარეობით***

საქართველოს პრეზიდენტის სარეზერვო ფონდის წლიური მოცულობა საქართველოს 2005 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ კანონში 20 მაისს შეტანილი ცვლილებების შესაბამისად 25 მილიონი ლარით განისაზღვრა. ექვს თვეში კი ფონდიდან უკვე 23 მილიონი ლარის დახარჯვა იკვეთებოდა (იხ. დანართი №2). გამოყოფილი ასიგნებების ოდენობამ კი 22 შემთხვევაში 22,6

მილიონი ლარი შეადგინა; აქედან ფაქტობრივად ათვისებული იქნა 22 მილიონი ლარი, ანუ გამოყოფილი ასიგნებების 97 პროცენტი.

საქართველოს პრეზიდენტის განკარგულებებით სარეზერვო ფონდიდან გამოყოფილი თანხები მხარჯავი დაწესებულებების მიერ 14 შემთხვევაში სრულად იქნა თანხები ათვისებული, ხოლო დანარჩენ რვა შემთხვევაში პირველი ივლისისათვის ათვისებული თანხების მოცულობამ შეადგინა სულ 604.9 ათასი ლარი.

ერთი შეხედვით პრეზიდენტის სარეზერვო ფონდიდან დახარჯული თანხები კანონის ფარგლებშია მოქცეული, თუმცა თუ საკითხს დეტალურად შევისწავლით ვნახავთ, რომ როგორც შარშან ასევე მიმდინარე წელს ამ კუთხით უამრავი კანონდარღვევაა.

“საქართველოს საბიუჯეტო სისტემის შესახებ” კანონის მიხედვით, “საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტში იქმნება საქართველოს პრეზიდენტის და საქართველოს მთავრობის სარეზერვო ფონდები. ორივე ფონდის მოცულობა, ერთად აღებული, არ უნდა აღემატებოდეს ფიქსირებული ასიგნებების მთლიანი ოდენობის 2 პროცენტს” (მუხლი 13, პუნქტი 1). აქვე მითითებულია ასევე ფონდებში აკუმულირებული თანხების ხარჯვის მიზნობრიობის შესახებ – “საქართველოს პრეზიდენტის და საქართველოს მთავრობის სარეზერვო ფონდებიდან სახსრები გამოიყოფა სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის ისეთი საგანგებო შემთხვევებისათვის, როგორცაა ბუნებრივი და სხვა სახის კატასტროფები და გაუთვალისწინებელი სახელმწიფო ვალდებულებები. აღნიშნული სახსრები გამოიყოფა წლიური საბიუჯეტო კანონით განსაზღვრული მოცულობებისა და პირობების შესაბამისად” (მუხლი 13, პუნქტი 2). როგორც ვხედავთ კანონით მკაცრადაა განსაზღვრული სარეზერვო ფონდების მიზნობრიობა, *პრეზიდენტის ფონდიდან დაფინანსებული ღონისძიებებიდან კი ფაქტობრივად მხოლოდ ორი ღონისძიება* (მესტიის რ-ნის გამგეობას მესტიაში მომხდარი ავტოკატასტროფის შედეგების სალიკვიდაციო ღონისძიებები – დაფინანსებულია 7 ათასი ლარით და ქ. გორში განხორციელებული

ტერორისტული აქტის შედეგად მიყენებული ზიანის ანაზღაურება – დაფინანსებულია 94 ათასი ლარით) *მოდის კანონის მოთხოვნებთან შესაბამისობაში*. განსაკუთრებული აღნიშვნის ღირსია ის, რომ პრეზიდენტის ფონდიდან ყველაზე ხშირად ფინანსდება ძალოვანი სტრუქტურები (ძირითადად თავდაცვის სამინისტრო) და ამასთან არაა მითითებული თუ რა ღონისძიებისთვის ხდება თანხების ხარჯვა. *ფონდის ხარჯებში საკმაოდ მნიშვნელოვანი ადგილი უკავია ასევე დეპუტატების და პრეზიდენტის მივლინებებს.*

აღსანიშნავია ერთი ფაქტიც: *2005 წლის პირველ კვარტალში, როდესაც პრეზიდენტის ფონდი ჯერ მხოლოდ 10 მილიონით იყო განსაზღვრული, ფაქტობრივი ხარჯი უკვე 19,2 მილიონ ლარს შეადგენდა. იგივე გრძელდებოდა მეორე კვარტალშიც სანამ პარლამენტმა არ შეიტანა ცვლილებები ბიუჯეტის შესახებ კანონში* და პრეზიდენტის ფონდიდან გაწეული ხარჯები “საბიუჯეტო სისტემის შესახებ” კანონის შესაბამისობაში არ მოიყვანა (კანონის მიხედვით “სახელმწიფო, ავტონომიური რესპუბლიკებისა და ადგილობრივი ხელისუფლებების მიერ ფიქსირებული ასიგნების ზევით ხარჯის გაწევა და ვალდებულების აღება დაუშვებელია.” მუხლი 12, პუნქტი 3).

### **საქართველოს მთავრობის სარეზერვო ფონდი**

საქართველოს მთავრობის სარეზერვო ფონდის წლიური პარამეტრი 20 მილიონი ლარითაა განსაზღვრული. 2005 წლის ექვს თვეში კი განისაზღვრა 19,7 მილიონი ლარით (იხ. დანართი №3), გამოყოფილი ასიგნებების ოდენობამ შეადგინა 15,9 მილიონი ლარი, აქედან ათვისებული იქნა 12,1 მილიონი ლარი, რაც გამოყოფილი ასიგნებების 76 პროცენტია.

ფონდიდან გამოყოფილი თანხები მხარჯავი დაწესებულებების მიერ 44 შემთხვევაში სრულად იქნა ათვისებული, ხოლო დანარჩენ 31 შემთხვევაში პირველი ივლისისათვის ათვისებული თანხების მოცულობამ შეადგინა 3,8 მილიონი ლარი.

უნდა აღინიშნოს, რომ განსხვავებით პრეზიდენტის სარეზერვო ფონდისგან მთავრობის სარეზერვო ფონდთან დაკავშირებით შედარებით ნაკლები კანონდარღვევებია. წლის განმავლობაში კანონით გამოყოფილი ასიგნებების გადახარჯვა ჯერ-ჯერობით არ დაფიქსირებულა, თუმცა მომავალ ექვს თვეში შესაძლოა ასეც მოხდეს, რადგან *მთავრობის სარეზერვო ფონდის მოცულობის ნახევარზე მეტი უკვე დახარჯულია.*

#### 4. 2006-2009 წლების ძირითადი მონაცემებისა და მიმართულებების მოკლე მიმოხილვა

საქართველოს მთავრობის მიერ შემუშავებული ძირითადი მონაცემებისა და მიმართულებების დოკუმენტის შესაბამისად 2006-2007 წლებში საქართველოს მაკროეკონომიკური პოლიტიკა მიმართული იქნება მაკროეკონომიკური სტაბილურობის უზრუნველყოფისაკენ. აღნიშნულის მისაღწევად მთავრობის მოსაზრებით საჭიროა:

- ეკონომიკური ზრდის მაღალი ტემპი;
- ინფლაციის დაბალი მაჩვენებელი;
- ადგილობრივი და უცხოური ინვესტიციების ზრდა, მათ შორის სახელმწიფო ქონების პრივატიზების გზით;
- ფასიანი ქაღალდების ბაზარის განვითარება;
- საპროცენტო განაკვეთების შემცირება;
- მცურავი გაცვლითი კურსის რეჟიმზე დაფუძნებული სავალუტო პოლიტიკა.

2006-2009 წლებში რეალური მთლიანი შიდა პროდუქტის ზრდის ტემპი საშუალოდ 6-7 პროცენტი იქნება. ეკონომიკური ზრდის აღნიშნული მნიშვნელობები სრულად შეესაბამება ეკონომიკური განვითარებისა და სიღარიბის დაძლევის პროგრამით გათვალისწინებულ მშპ-ის მატეხის ტემპებს. მთლიანი შიდა პროდუქტის ზრდის აღნიშნული ტემპების უზრუნველსაყოფად კი აუცილებელი იქნება ინვესტიციების ზრდა და მათი ეფექტიანობის ამაღლება.

2005 წელს, 2004 წელთან შედარებით, მთლიანი ინვესტიციების რეალური მოცულობა სავარაუდოდ 8.2 პროცენტით გაიზარდა და მშპ-ის 25.9 პროცენტს გაუტოლდება. 2006 წლისათვის აღნიშნული მაჩვენებელი 27 პროცენტის ფარგლებშია მოსალოდნელი. პროგნოზული გათვლებით, შემდგომი სამი წლის განმავლობაში, ინვესტიციების მშპ-თან ფარდობის საშუალო წლიური მაჩვენებელი 26 პროცენტს გადააჭარბებს. რაც შეეხება

სამომხმარებლო ხარჯებს, 2005-2009 წლებში მისი რეალური მოცულობა გაიზარდა, ხოლო მის წილობრივ ღონეს მშპ-თან კლების ტენდენცია ექნება.

2005-2009 წლებისათვის სამომხმარებლო ფასების ინდექსის ცვლილების პროგნოზული მაჩვენებელი 5-5.5 პროცენტის ფარგლებშია მოსალოდნელი. ლარის საშუალო წლიური გაცვლითი კურსი კი სავარაუდოდ 1.85 ლარი/აშშ დოლარის გარგლებში იქნება.

გრძელვადიანი პერიოდისთვის, საქართველოს მთავრობის ძირითადი ფისკალური სტრატეგიაა კიდევ უფრო გააუმჯობესოს ფისკალური მდგომარეობა, რაც უზრუნველყოფს:

- მაკროეკონომიკურ სტაბილურობას;
- შემოსავლების მობილიზების შემდგომ ზრდას;
- ხარჯების ზრდას პრიორიტეტულ მიმართულებებზე;
- საფინანსო წესრიგის გაძლიერებას.

2006-2008 წლებისათვის ფისკალური პოლიტიკის ამოცანებს წარმოადგენს (იხ. ცხრილი №21; დიაგრამა №25; №26):

- საგადასახადო შემოსავლების შემდგომი ზრდა მშპ-ის მიმართ 1 პროცენტულ პუნქტზე მეტით;
- ხარჯების უპირატესი ზრდა ისეთი პრიორიტეტული სფეროების მიხედვით, როგორცაა ინვესტიციები ინფრასტრუქტურის განვითარებისათვის, სოციალური სფერო, თავდაცვა და მართლწესრიგი,
- 2008 წლისათვის საბაზო დეფიციტის შემცირება მშპ-ს 0.5%-მდე;
- 2008 წლისათვის მთავრობის ვალის შემცირება არნაკლებ მშპ-ს 33 პროცენტისა.

აღნიშნული მიზნების მისღწევად საჭიროა, რომ:

- გაგრძელდეს საგადასახადო და საბაზო ადმინისტრაციების რეფორმა;


- დაიხვეწოს სახელმწიფო ხარჯების მენეჯმენტი;
- გაუმჯობესდეს სამეწარმეო გარემო.

**ცხრილი №21. 2005-2009 წლების ძირითადი ფისკალური ინდიკატორები**


(პროცენტულად მშპ-სთან)

დასახელება	2005 წელი	2006 წელი	2007 წელი	2008 წელი	2009 წელი
სულ შემოსავლები და გრანტები	22.2%	21.7%	22.0%	22.3%	22.7%
სულ შემოსავლები	21.0%	20.5%	20.9%	21.3%	21.8%
საგადასახადო შემოსავლები	18.4%	18.7%	19.0%	19.3%	19.7%
არაპირდაპირი გადასახადები	11.6%	11.8%	12.0%	12.2%	12.4%
პირდაპირი გადასახადები	4.8%	4.9%	5.0%	5.0%	5.2%
გადასახადები ხელფასზე	2.0%	2.0%	2.1%	2.1%	2.1%
არასაგადასახადო შემოსავლები	2.5%	1.8%	1.9%	2.0%	2.1%
გრანტები	1.2%	1.2%	1.1%	1.0%	0.9%
ხარჯები და წმინდა დაკრედიტება	25.7%	25.8%	23.8%	23.5%	23.5%
სულ ხარჯები	25.2%	25.3%	23.3%	23.1%	23.1%
მიმდინარე ხარჯები	20.0%	20.0%	19.6%	19.3%	19.2%
ხარჯები საქ. და მომსახურებაზე	11.2%	10.7%	10.2%	9.7%	9.6%
სუბსიდიები და ტრანსფერტები	7.8%	8.4%	8.6%	8.8%	9.0%
პროცენტების გადახდა	1.1%	0.9%	0.9%	0.8%	0.7%
კაპიტალური ხარჯები	5.1%	5.3%	3.7%	3.8%	3.9%
წმინდა დაკრედიტება	0.6%	0.6%	0.5%	0.4%	0.4%
საერთო ბალანსი (ვალდებულებები)	-3.6%	-4.1%	-1.8%	-1.2%	-0.8%
ხარჯების მიხედვით დავალიანებების წმინდა ცვლილება (-შემცირება)	-1.3%	0.0%	0.0%	0.0%	0.0%
საერთო ბალანსი (საკასო)	-4.9%	-4.1%	-1.8%	-1.2%	-0.8%
დაფინანსება	4.9%	4.1%	1.8%	1.2%	0.8%
პრივატიზაცია	3.4%	3.1%	0.7%	0.1%	0.1%
საშინაო წყაროებიდან	0.6%	0.2%	0.2%	0.3%	0.3%
საგარეო წყაროებიდან	0.8%	0.8%	0.9%	0.9%	0.5%

დიაგრამა №25. 2005-2009 წლების ნაერთი ბიუჯეტის შემოსავლების შეფარდება მთლიან შიდა პროდუქტთან



დიაგრამა №26. 2005-2009 წლების ნაერთი ბიუჯეტის ხარჯების შეფარდება მთლიან შიდა პროდუქტთან





2006 წლიდან საერთო ხარჯები მშპ-სთან მიმართებაში მცირდება 2 პროცენტული პუნქტით, რაც გამოწვეული იქნება საპრივატიზაციო თანხების შემცირებით. პრივატიზაციიდან ძირითად შემოსავლებს 2005-2006 წლებში ელოდებიან (მშპ-სთან მიმართებაში შესაბამისად 3,4 და 3,1 პროცენტი).

საშემოსავლო პოლიტიკის ძირითადი პრიორიტეტები 2006-2009 წლებში იქნება:

- საგადასახადო შემოსავლების ზრდის უზრუნველყოფა მშპ-სთან მიმართებაში 0,3-0,7 %-ის ოდენობით ყოველწლიურად;
- საგადასახადო და საბაჟო ადმინისტრაციების ინსტიტუციონალური გაძლიერება;
- ახალი საბაჟო კანონმდებლობის ამოქმედება.

2006-2009 წლებში საგადასახადო პოლიტიკამ უნდა უზრუნველყოს სტაბილური საგადასახადო გარემოს შენარჩუნება. ამ მიზნით გამკაცრდება ადმინისტრაციული მექანიზმები არაკეთილსინდისიერი გადამხდელების მიმართ, რაც ხელს შეუწყობს ბიზნესის ლეგალიზაციას, ხოლო კეთილსინდისიერ გადამხდელებს შეეწყობათ ხელი, მათ შორის დამატებითი წამახალისებელი მექანიზმების ჩათვლით.

**5. ქ. ბათუმის 2005 წლის აღბილობრივი ბიუჯეტის 6 თვის  
შესრულების მონიტორინგი**

*ქ. ბათუმის 2005 წლის 6 თვის ადგილობრივი ბიუჯეტის შემოსულობები*

ქ. ბათუმის ბიუჯეტის შემოსულობებმა 2005 წლის 6 თვეში შეადგინა 8,5 მილიონი ლარი, პროგნოზით გათვალისწინებული იყო 10,6 მილიონი ლარი, ანუ ბიუჯეტის შემოსულობები შესრულდა 80 პროცენტით (იხ. ცხრილი №22).

**ცხრილი №22. ქალაქ ბათუმის 2005 წლის 6 თვის ადგილობრივი ბიუჯეტის შემოსულობები**

(ათასი ლარი)

№	დასახელება	პროგნოზი	ფაქტი	გადახრა	შესრუ- ლება, %
1	საგადასახადო შემოსავლები	<b>5,886.2</b>	<b>4,853.6</b>	<b>-1,032.6</b>	<b>82</b>
1.1	საშემოსავლო გადასახადი	2,241.0	2,264.4	23.4	101
1.2	მოგების გადასახადი	1,709.0	1,288.7	-420.3	75
1.3	ადგილობრივი გადასახადები. მათ შორის:	1,936.2	1,276.2	-660.0	66
	ქონების გადასახადი	1,661.9	1,050.0	-611.9	63
	სათამაშო ბიზნესის გადასახადი	274.3	226.2	-48.1	82
1.4	სხვა გადასახადები		24.3	24.3	
2	არასაგადასახადო შემოსავლები	<b>686.6</b>	<b>432.1</b>	<b>-254.5</b>	<b>63</b>
3	კაპიტალური შემოსავლები	<b>2,275.0</b>	<b>1,854.0</b>	<b>-421.0</b>	<b>81</b>
4	ფინანსური დახმარება	<b>1,734.7</b>	<b>980.8</b>	<b>-753.9</b>	<b>57</b>
5	შემოსავალი გარდამავალი საბრუნავი საშუალებების მოსესხებიდან		<b>385.2</b>	<b>385.2</b>	
	სულ შემოსულობები	<b>10,582.5</b>	<b>8,505.7</b>	<b>-2,076.8</b>	<b>80</b>

ქ. ბათუმის ადგილობრივი ბიუჯეტის შემოსავლით ნაწილში, როგორც უკვე აღვნიშნეთ, პროგნოზით განსაზღვრული იყო 10,6 მილიონი ლარის მობილიზება,

მათ შორის, ძირითადი ადგილი საგადასახადო შემოსავლებზე მოდიოდა, 5,9 მილიონი ლარი, რაც საერთო შემოსულობების 55 პროცენტია. პროგნოზით გათვალისწინებული საგადასახადო შემოსავლების 82 პროცენტი შესრულდა. საგადასახადო შემოსავლებიდან დიდი წილი საშემოსავლო გადასახადზე მოდის და საგადასახადო შემოსავლების 38 პროცენტი უჭირავს. საშემოსავლო გადასახადის ამოღება 2,3 მილიონი ლარის გადაჭარბებით მოხდა. მოგების გადასახადს საგადასახადო შემოსავლებში 29 პროცენტი უჭირავს, ფაქტობრივმა შესრულებამ პროგნოზით განსაზღვრული 1,7 მილიონი ლარის ნაცვლად 1,3 მილიონი ლარი შეადგინა. ადგილობრივი გადასახადების მუხლის შესრულების კუთხით შეინიშნება გაუმჯობესება წინა წლებთან შედარებით, პროგნოზით გათვალისწინებული 1,9 მილიონი ლარიდან, ფაქტობრივი შესრულების მაჩვენებელი შეადგენს 1,3 მილიონ ლარს, თუმცა აქვე უნდა ითქვას, რომ ადგილობრივ გადასახადებში მიზერული ადგილი უჭირავს სათამაშო ბიზნესის გადასახადს. აღნიშნული გადასახადი საგადასახადო შემოსავლების მხოლოდ 4 პროცენტია, მისმა შესრულებამ 2005 წლის 6 თვეში შეადგინა 226.2 ათასი ლარი.


2005 წელს გეგმით გათვალისწინებული იყო არასაგადასახადო შემოსავლების 686 ათასი ლარის მობილიზება, ფაქტობრივმა შესრულებამ კი შეადგინა 432.1 ათასი ლარი, რაც პროგნოზით გათვალისწინებულის 62 პროცენტია.

მკვეთრი ზრდა შეინიშნება კაპიტალური შემოსავლების ნაწილში, ეს გამოწვეულია ბოლო პერიოდში განხორციელებული პრივატიზაციის შედეგებიდან. საანგარიშო პერიოდში კაპიტალური შემოსავლების პროგნოზი განისაზღვრა 2,3 მილიონი ლარით, რეალურმა შემოსავლებმა კი შეადგინა 1,9 მილიონი ლარი.

2005 წლის 6 თვეში ფინანსური დახმარების პროგნოზის მოცულობა 1,7 მილიონი ლარით განისაზღვრა, თუმცა მისი მიღება 100 პროცენტით ვერ მოხერხდა და შეადგინა მხოლოდ 980 ათასი ლარი, ანუ პროგნოზის 54

პროცენტი. გარდამავალი საბრუნავი საშუალებების მოცულობამ საანგარიშო პერიოდში შეადგინა 385,2 ათასი ლარი, რაც მთლიანი ფაქტობრივი შემოსულობების 4,5 პროცენტია (იხ. დიაგრამა №27).

**დიაგრამა №27. ქ. ბათუმის 2005 წლის 6 თვის ფაქტობრივი შემოსავლების შედარება პროგნოზთან**



**ქ. ბათუმის 2005 წლის 6 თვის ადგილობრივი ბიუჯეტის გადასახდელები**

2005 წლის 6 თვის გადასახდელები ადგილობრივ ბიუჯეტში გათვალისწინებული იყო 10,6 მილიონი ლარის ოდენობით, ფაქტობრივმა შესრულებამ შეადგინა 8,6 მილიონი ლარი, რაც გვემაზე 2,1 მილიონი ლარით ნაკლებია (იხ. ცხრილი №23).

**ცხრილი №23. ქ. ბათუმის 2005 წლის 6 თვის ადგილობრივი ბიუჯეტის  
გადასახდელები ეკონომიკური კლასიფიკაციის მიხედვით**

(ათასი ლარი)

გადასახდელები	გეგმა	ხარჯი	გადახრა	შესრულებათა, %
შრომის ანაზღაურების ფონდი	2,710.6	2,578.0	-132.6	95
მივლინებები	27.9	8.9	-19.0	32
სხვა საქონელი და მომსახურება	4,504.3	3,175.3	-1,329.0	70
სუბსიდიები და მიმდინარე ტრანსფერტები	343.2	313.3	-29.9	91
კაპიტალური ხარჯები	2,996.4	2,430.3	-566.1	81
<b>სულ ბიუჯეტის ხარჯები</b>	<b>10,582.4</b>	<b>8,505.8</b>	<b>-2,076.6</b>	<b>80</b>

ქ. ბათუმის ადგილობრივი ბიუჯეტის ხარჯებში ყველაზე დიდი წილი (გადასახდელების 42 პროცენტი) მოდის "სხვა საქონელი და მომსახურების" მუხლზე. ამ კუთხით გეგმით გათვალისწინებული იყო 4,5 მილიონი ლარის გამოყოფა, ფაქტობრივმა ხარჯმა კი შეადგინა 3,2 მილიონი ლარი (იხ. დიაგრამა №28).


ქ. ბათუმის ადგილობრივი ბიუჯეტის ხარჯებში დაფინანსების საკმაოდ მაღალი მაჩვენებლით გამოირჩევა შრომის-ანაზღაურების ხარჯები, რომელთა 6 თვის გეგმა განსაზღვრული იყო 2,7 მილიონი ლარით, ფაქტობრივად კი 2,6 მილიონი ლარი იქნა ათვისებული, რაც გეგმის 95 პროცენტია.

საანგარიშო პერიოდში "მივლინებების" მუხლი დაფინანსებულია 32 პროცენტით. ამ კუთხით დაგეგმილი იყო 28 ათასი ლარის ხარჯვა, თუმცა მხოლოდ 9 ათასი ლარი იქნა ათვისებული. მოცემული მუხლი ქ. ბათუმის ადგილობრივი ბიუჯეტის გადასახდელებში 0,1 პროცენტს იკავებს.

2005 წლის 6 თვეში "სუბსიდიებისა და მიმდინარე ტრანსფერტების" მუხლით გამოსაყოფი თანხების გეგმა 343,2 ათასი ლარი განისაზღვრა, ფაქტობრივად კი 313,3 ათასი ლარი იქნა დახარჯული, რაც გეგმის 91 პროცენტია.

კაპიტალური ხარჯების წილი ადგილობრივი ბიუჯეტის გადასახდელებში საკმაოდ "მსუყელ" არის წარმოდგენილი (29 პროცენტით). ამ კუთხით 6 თვეში ათვისებული იქნა 2,4 მილიონი ლარი, რაც გეგმის 81 პროცენტია.

**დიაგრამა №28. ქ. ბათუმის 2005 წლის 6 თვის ადგილობრივი ბიუჯეტის გადასახდელები ეკონომიკური კლასიფიკაციის მიხედვით**



ქ. ბათუმის 2005 წლის 6 თვის გადასახდელები ფუნქციონალური კლასიფიკაციის მიხედვით შემდეგი სტრუქტურით ხასიათდება.

ქ. ბათუმის მიმდინარე წლის 6 თვის ადგილობრივი ბიუჯეტიდან გაწეული ხარჯების ყველაზე დიდი წილი საბინაო კომუნალურ მეურნეობასა და კეთილმოწყობაზე მოდის, რომლის 6 თვის გეგმა 5 მილიონი ლარით განისაზღვრა, ფაქტობრივად კი 4,1 მილიონი ლარი იქნა ათვისებული, ანუ გეგმის 81 პროცენტი (იხ. ცხრილი №24).

**ცხრილი №24. ქ. ბათუმის 2005 წლის 6 თვის ადგილობრივი ბიუჯეტის  
გადასახდელები ფუნქციონალური კლასიფიკაციის მიხედვით  
(ათას ლარებში)**

დასახელება	გეგმა	ხარჯი	გადახრა	შესრულება, %
საერთო დანიშნულების სახელმწიფო ხარჯი	1,023.0	910.0	-113.0	89
თავდაცვა	36.8	35.5	-1.3	96
განათლება	2,055.0	1,889.6	-165.4	92
საზოგადოებრივი წესრიგი და უშიშროება	177.0	155.0	-22.0	88
ჯანმრთელობის დაცვა	259.7	193.5	-66.2	75
სოციალური დაზღვევა და სოციალური უზრუნველყოფა	379.9	278.4	-101.5	73
საბინაო-კომუნალური მეურნეობა და კეთილმოწყობა	5,027.4	4,110.8	-916.6	82
დასვენების ორგანიზაცია და საქმიანობა კულტურის, სპორტისა და რელიგიის სფეროში	523.9	480.6	-43.3	92
სოფლის მეურნეობა, სატყეო მეურნეობა და მონადირეობა	37.4	34.8	-2.6	93
სხვა მომსახურება	1,062.4	416.7	-645.7	39
<b>სულ ხარჯი</b>	<b>10,582.4</b>	<b>8,505.8</b>	<b>-2,076.6</b>	<b>80</b>


საერთო დანიშნულების სახელმწიფო მომსახურებაზე გეგმით გათვალისწინებული იყო 1 მილიონი ლარი, რეალურად გახარჯულ იქნა 910 ათასი ლარი, ანუ 88 პროცენტი. აღნიშნული მუხლის ხარჯების წილი ადგილობრივი ბიუჯეტის გადასახდელებში 11 პროცენტია (იხ. დიაგრამა №29). ყველაზე მცირე თანხა 37.4 ათასი ლარი იქნა გამოყოფილი სოფლის მეურნეობასა და სატყეო მეურნეობაზე.

აღსანიშნავია, რომ მიმდინარე წლის ბიუჯეტში გათვალისწინებული არ არის ხარჯები ტრანსპორტსა და კავშირგაბმულობაზე, ასევე სათბობ-

ენერგეტიკულ კომპლექსზე და ეკონომიკურ საქმიანობასთან დაკავშირებულ სხვა მომსახურებაზე. ასევე, *ქ. ბათუმის ბიუჯეტში არ არის განსაზღვრული სარეზერვო ფონდი.*

ქ. ბათუმის ადგილობრივი ბიუჯეტიდან სხვა მომსახურების მუხლით გათვალისწინებული 1,1 მილიონი ლარიდან ათვისებული იქნა 416 ათასი ლარი, ანუ გეგმის 39 პროცენტი.

**დიაგრამა №29. ქ. ბათუმის 2005 წლის 6 თვის ადგილობრივი ბიუჯეტის გადასახდელები ფუნქციონალური კლასიფიკაციის მიხედვით**





## 6. ხარჯების საშუალოვადიანი დაგეგმარება – MTEF

როგორც ცნობილია, საქართველოში საბიუჯეტო პროცესი რეგულირდება კანონით “საბიუჯეტო სისტემების შესახებ”. თუმცა, საბიუჯეტო პროცესებთან დაკავშირებული ზოგიერთი საკითხი კვლავ საჭიროებს დამატებით ყურადღებას. ასეთ საკითხთა შორისაა “სტრატეგიულ დაგეგმვასა” და “ბიუჯეტის მომზადების” პროცესებს შორის კავშირი. სტრატეგიული პრიორიტეტების მკაფიო განსაზღვრა როგორც ეროვნულ, ასევე სექტორულ დონეებზე წარმოადგენს ერთადერთ საშუალებას შეზღუდული სახელმწიფო რესურსების სტრატეგიულად ხარჯვის უზრუნველსაყოფად. ეს ყოველივე ორ ძირითად საფეხურს მოიცავს:

- საერთო ფისკალური მიზნებისა და სექტორული ჭერების დადგენა, საერთო სახელმწიფო პრიორიტეტების, მაკროეკონომიკური პროგნოზისა და ფისკალური პოლიტიკიდან გამომდინარე;
- რესურსების განაწილება სტრატეგიული პრიორიტეტების მიხედვით სექტორული ჭერების შესაბამისად.

საქართველოსათვის ამ უაღრესად მნიშვნელოვანი მიზნების მისაღწევად ფინანსთა სამინისტრომ დაიწყო ხარჯების საშუალოვადიანი დაგეგმარების დანერგვა (MTEF – Medium Term Expenditure Framework). პირველი MTEF მოიცავს 2006-2008 წლებს.

MTEF-ის დანიშნულებაა გააძლიეროს სახელმწიფო რესურსების განაწილების საფუძველი და უფრო სტრატეგიული გახადოს იგი. ამ თვალსაზრისით, MTEF-ის ძირითადი მიზნები ასე შეიძლება ჩამოყალიბდეს:

- მაკროეკონომიკური და ფისკალური მართვის გაუმჯობესება ბიუჯეტის ფორმულირებისათვის რესურსების სრულყოფილი და რეალური ჩარჩოს შემუშავების გზით;
- საბიუჯეტო დაგეგმარებაში საშუალოვადიანი პერსპექტივის შემოტანა. MTEF მოიცავს 3 წელს, საიდანაც პირველი წელი ეხება პარლამენტის

მიერ დასამტკიცებელ წლიურ საბიუჯეტო გეგმას, ხოლო მეორე და მესამე წლები კი – ინდიკატურ გეგმასა და ბიუჯეტს;

- სახელმწიფო ფინანსების მართვის ძირითადი საკითხებისა და შესაბამისი სტრატეგიული ქმედებების გამოკვეთა და რესურსების მიმართვა სტრატეგიული სექტორთაშორისო და შიდა-სექტორული პოლიტიკისა და პრიორიტეტებისაკენ. აუცილებლად უნდა აღინიშნოს, რომ MTEF ყოველთვის უნდა მოიაზრებოდეს სტრატეგიულ დონეზე. მისი საშუალებით ფინანსთა სამინისტრომ და სხვა მხარჯველმა ერთეულებმა უნდა მოახდინონ ხარჯვითი საკითხების, პროგრამებისა და პრიორიტეტების ანალიზი.

ხაზგასმით უნდა აღინიშნოს, რომ MTEF ბიუჯეტის ფორმირების პარალელური პროცესი კი არ არის, არამედ მისი შემადგენელი ნაწილია. MTEF ის განახლება და შესწორება უნდა მოხდეს ყოველწლიურად, რათა უზრუნველყოფილ იქნეს მისი უწყვეტობა და შენარჩუნებულ იქნეს დაგეგმვის სამწლიანი პერიოზონტი.

MTEF სამ საყრდენზე დგას:

1. მაკრო-ფისკალური ჩარჩოს შემუშავება – ფინანსთა სამინისტროს ფინანსური პოლიტიკის დეპარტამენტი განიხილავს და გააანალიზებს გასული წლების მაკროეკონომიკურ და ფისკალურ მიღწევებს, შემოსავლების მობილიზების პოლიტიკის ეფექტებსა და რეფორმების შედეგებს. გარდა ამისა, წინასწარ განსაზღვრული საგარეო დაფინანსებისა და სრულყოფილი ვალების პროგნოზები, რაც თავის მხრივ, გახდება საშუალოვადიანი ფისკალური დაგეგმარების საფუძველი;
2. საერთო ხარჯების ანალიზი, რამაც შესაძლოა გავლენა იქონიოს სექტორებს შორის რესურსების განაწილებაზე – ძირითადი პასუხისმგებლობა სექტორული ჭერების განსაზღვარში აკისრია

ფინანსთა სამინისტროს საბიუჯეტო დეპარტამენტს. სექტორებს შორის რესურსების სტრატეგიულად და ოპტიმალურად განაწილების უზრუნველსაყოფად საბიუჯეტო დეპარტამენტი, პირველ რიგში, გააანალიზებს გასული წლების სექტორულ ხარჯებსა და სექტორებს შორის რესურსების განაწილებას, სადაც განსაკუთრებული აქცენტი ძირითადი პოლიტიკური ტენდენციების გამოკვეთაზე იქნება მიმართული. ანალიზის სრულყოფისთვის, შესაძლებელია მოხდეს საქართველოს ხარჯვითი ტენდენციების შედარება სხვა გარდამავალი ქვეყნების შესაბამის ტენდენციებთან;

3. სექტორული ანალიზი და სექტორული ხარჯების გეგმა – იმის გათვალისწინებით, რომ სექტორული ანალიზისა და სტრატეგიების შემუშავება მაღალ მოთხოვნებს უყენებს სამინისტროებს, 2006-2008 წლების MTEF შემოღებული იქნება ორ სხვადასხვა დონეზე:

- ▶ I რიგის მხარჯავი ერთეულები – აქ მოიაზრება ის სამინისტროები, რომლებიც გარკვეულწილად უკვე არიან ჩართული ხარჯების საშუალოვადიანი დაგეგმარების პროცესში. ამ სამინისტროებს უკვე აქვთ გარკვეული გამოცდილება და მათ მიეწოდებათ სათანადო ექსპერტული დახმარება სექტორული ხარჯვითი სტრატეგიების შემდგომ დასახვეწად. ამჟამად საქართველოში I რიგის მხარჯავ ერთეულებს წარმოადგენენ: ჯანდაცვის, განათლების და სოფლის მეურნეობის სამინისტროები (შესაძლოა დაემატოს გარემოს დაცვის სამინისტროც).

- ▶ II რიგის მხარჯველი ერთეულები – გააერთიანებს ყველა დანარჩენ სამინისტროს. ეს სამინისტროები შედარებით მარტივი ფორმატით შეიმუშავებენ სტრატეგიებსა და პრიორიტეტებს. მათი ინტეგრირება ეტაპობრივად მოხდება MTEF-ის პროცესში I რიგის სამინისტროების გამოცდილების გათვალისწინებით.

MTEF-ის პროცესის საბოლოო შედეგი არის ხარჯების საშუალოვადიანი დაგეგმვის დოკუმენტი. ეს დოკუმენტი ასახავს მთავრობის ხედვას საშუალოვადიანი სტრატეგიებისა და ხარჯების დაგეგმვასთან დაკავშირებით. ამავე დროს, დოკუმენტი ასევე ასახავს შემაჯამებელ ინფორმაციას MTEF-ის ძირითადი საყრდენების მიხედვით:

1. ფისკალური ცხრილები და რესურსთა აგრეგირებული პროგნოზი;
2. ხარჯვითი ჭერები ძირითადი ეკონომიკური კლასიფიკატორების მიხედვით;
3. ხარჯვითი ჭერები სექტორისა და მხარჯავი ერთეულის მიხედვით.

ფინანსთა სამინისტრო პასუხისმგებელია ხარჯების საშუალოვადიანი დაგეგმვის დოკუმენტის მომზადებაზე. დოკუმენტის მომზადებაში ჩართულნი იქნებიან:

- საქართველოს ფინანსთა სამინისტროს ფინანსური პოლიტიკის დეპარტამენტი, რომელიც შეიმუშავებს მაკრო-ფისკალურ ჩარჩოს. ამ უკანასკნელის საშუალებით მოხდება რესურსების საერთო პაკეტის განსაზღვრა;
- საქართველოს ფინანსთა სამინისტროს საბიუჯეტო დეპარტამენტი, რომელიც განახორციელებს ურთიერთგადამკვეთი ხარჯებისა და სექტორული ჭერების ანალიზს;
- მხარჯველი ერთეულები, რომლებიც პასუხისმგებელნი არიან სექტორული ხარჯების სტრატეგიული გეგმების შემუშავებაზე.

MTEF შედარებით ახალი ცნებაა საქართველოში და, ამდენად, როგორც ფინანსთა სამინისტროს, ასევე სხვა სამინისტროების თანამშრომლებს მისი წარმართვის შედარებით ნაკლები გამოცდილება აქვთ. MTEF-ის სრული მასშტაბით ამოქმედებას რამოდენიმე წელი დასჭირდება. პირველი MTEF, რომელიც 2006-2008 წლებს მოიცავს, ძირითადად ფოკუსირებული იქნება მომდევნო MTEF-ებისათვის ძლიერი საფუძვლის შექმნაზე.

## *MTEF-ის დანერგვა განაში*

საქართველოში ხარჯების საშუალოვადიანი დაგეგმარების რეფორმის დანერგვა ახლო წარსულში დაიწყო. ბუნებრივია, რომ სამინისტროებსა თუ სხვა სახელმწიფო სტრუქტურებს ჯერ არ გააჩნიათ შესაბამისი გამოცდილება. სწორედ ამ მიზეზის გამო საინტერესოა იმ განვითარებადი ქვეყნების გამოცდილების გაცნობა, რომლებშიც უკვე დაინერგა MTEF. ერთ-ერთი ასეთი ქვეყანაა განა, სადაც MTEF-ის დანერგვა 1996 წლიდან დაიწყო.

განას ზოგიერთი მაკროეკონომიკური მაჩვენებელი:

- მთლიანი შიდა პროდუქტი – 48,3 მილიარდი ამერიკული დოლარი;
- მთლიანი შიდა პროდუქტით იგი მსოფლიოში 77-ე ადგილზეა. აღნიშნული მაჩვენებლით საქართველო 125-ე ადგილზეა;
- ეკონომიკური ზრდა – 5.4%;
- ეკონომიკური ზრდის ტემპით განა მსოფლიოში 69-ე ადგილზეა. აღნიშნული მაჩვენებლით საქართველო მე-16 ადგილზეა;
- მთლიანი შიდა პროდუქტი ერთ სულ მოსახლეზე გაანგარიშებით – 2,300 ამერიკული დოლარი;
- მთლიანი შიდა პროდუქტის დარგობრივი შემადგენლობა: სოფლის მეურნეობა – 34.3%; მრეწველობა – 24.2%; მომსახურება – 41.4%;
- ინფლაცია – 13%;
- ინფლაციის ტემპით განა მსოფლიოში 207-ე ადგილზეა. აღნიშნული მაჩვენებლით საქართველო 157-ე ადგილზეა;
- უმუშევრობის დონე – 20%;
- უმუშევრობის დონით განა მსოფლიოში 151-ე ადგილზეა. აღნიშნული მაჩვენებლით საქართველო 139-ე ადგილზეა;
- ბიუჯეტის წლიური შემოსულობები – 2.17 მილიარდი ამერიკული დოლარი;
- ბიუჯეტის წლიური ხარჯები – 2.56 მილიარდი ამერიკული დოლარი.

საზოგადოებრივი ფინანსების მენეჯმენტის ინტეგრირებული ძირეული რეფორმა (PUFMARP) განას მთავრობის მიერ 1996 წელს დაინერგა. ამ პროგრამის ერთ-ერთ კომპონენტს წარმოადგენს საბიუჯეტო და საზოგადოებრივი ხარჯების მენეჯმენტის სისტემა, რომელიც უზრუნველყოფს საზოგადოებრივი ხარჯების სრული ციკლის დადგენას. MTEF, ანუ ხარჯების საშუალოვადიანი დაგეგმარება PUFMARP-ის პროგრამის ერთ-ერთი ძირითადი კომპონენტია. MTEF-ის მეთოდის გამოყენება უზრუნველყოფს მაკროეკონომიკური დაგეგმარების, რესურსების განაწილებისა და ბიუჯეტის ფორმირების პროცესის განვითარებას, შემოსავლების ეფექტურ აკუმულირებას, ხარჯების მონიტორინგსა და აღრიცხვას, მარაგების, დახმარებებისა და ვალების მენეჯმენტსა და აუდიტს.

აღნიშნული რეფორმის ძირითადი აუცილებლობა გამომდინარეობდა იმ გარემოებიდან, რომ განას სახელმწიფოში არსებული მბრძანებლური ეკონომიკა ეტაპობრივად საბაზრო ეკონომიკაში გადადიოდა. 1993 წლის საზოგადოებრივი ხარჯების მონიტორინგმა ბიუჯეტის ფორმირების პროცესის სუსტი მხარეები გამოავლინა. საზოგადოებრივი ხარჯების მონიტორინგმა კი, რომელიც 1995 წელს ჩატარდა, გამოავლინა MTEF-ის, როგორც ბიუჯეტირების პროცესის შემადგენელი ნაწილის დანერგვის აუცილებლობა. 1996 წელს მსოფლიო ბანკი დათანხმდა ტექნიკური დახმარება გაეწია საზოგადოებრივი ხარჯების მენეჯმენტის სისტემის პროექტის დანერგვისათვის, ამ უკანასკნელის შემადგენელი ნაწილი კი იყო MTEF. ტექნიკური და ფინანსური დახმარებას უწევდნენ მსოფლიო ბანკი, CIDA, ევროკავშირი და DFID, რომელებიც კონკრეტულად MTEF-ის დანერგვისთვის საკონსულტაციო კუთხით მოღვაწეობდნენ. პრაქტიკული სამუშაოები დაიწყო 1997 წლის სექტემბერში, მაშინ, როდესაც DFID-ის მიერ დაფინანსებული კონსულტანტები ეწვივნენ განას რათა კონსულტაციები გაეწიათ MTEF-ის შესახებ.

საწყის ეტაპზე ხარჯების საშუალოვადიანი დაგეგმარების პროცესში უშუალოდ მხოლოდ რამოდენიმე სამინისტრო იყო ჩართული, შემდგომ კი

ყველა სამინისტროს კომპეტენციებში შევიდა აღნიშნულ პროცესში მონაწილეობა. MTEF-ის მიდგომა საბოლოოდ 1999 წელს იქნა წარდგენილი.

MTEF-ის პროცესის ძირითადი კოორდინატორი განას ფინანსთა სამინისტროა, კერძოდ კი ფინანსთა მინისტრის მოადგილე, რომელიც საბიუჯეტო და კვლევით დეპარტამენტს ხელმძღვანელობს. რაც შეეხება დარჩენილ სამინისტროებსა და დეპარტამენტებს, ყოველ მათგანში შეიქმნა საბიუჯეტო კომიტეტები, რომლებიც ამუშავებენ შესაბამისი ხარჯების გეგმას. სხვა სახელმწიფო სტრუქტურები, რომლებიც ასევე მონაწილეობენ ამ პროცესში არიან: განას სახელმწიფო ბანკი, ეროვნული განვითარების დაგეგმვის კომისია, სამოქალაქო მომსახურების სამსახური.

MTEF-ისა და წლიური ბიუჯეტის მომზადება ერთ პროცესად გვევლინებოდა. აღნიშნული ორი პროცესი განუყოფელია ერთმანეთისაგან. საბიუჯეტო დოკუმენტაცია წარმოადგენს პირველი წლის დეტალურ გეგმას, ხოლო დანარჩენი – ორი წლის დარგობრივ ჭერებსა და ძირითად მიმართულებებს.

MTEF განას სახელმწიფოში ასევე ერთი განსაკუთრებული ფუნქცია აკისრია: განას სიღარიბის დაძლევის სტრატეგია (GPRS) აქტიურად აისახება საბიუჯეტო პროცესში MTEF-ის საშუალებით. ამისათვის მუდმივად ტარდებოდა დამოუკიდებელი სამუშაო შეხვედრები ისეთ ფუნქციონალურ დარგებთან, როგორცაა ადმინისტრაცია, საზოგადოების უსაფრთხოება, ეკონომიკური მომსახურება, ინფრასტრუქტურა, სოციალური მომსახურება და სხვა. ასევე ტარდებოდა დარგთაშორისი შეხვედრებიც.


სახელმწიფო სამსახურების მიერ წარმოდგენილი პირველადი პროგნოზები მოწმდება და ფასდება ფინანსთა სამინისტროს მიერ, რის შემდეგაც მას აფასებს მინისტრთა კაბინეტი და ბოლოს კი განას პარლამენტი. კანონის თანახმად პარლამენტის წინაშე ბიუჯეტის წარდგენის თარიღია 30 ნოემბერი.

განას მთავრობის წარმომადგენლები ასევე მუდმივად აწყობენ საკონსულტაციო შეხვედრებს დონორებთან, სადაც განიხილება მიმდინარე

ბიუჯეტი. ამგვარი შეხვედრები ძირითადად ტარდება მარტი-აპრილის თვეების პერიოდში. განას სახელმწიფო სტრუქტურები ასევე ჩართულნი არიან საერთაშორისო საგალუტო ფონდის პროგრამებში, და როგორც ჩვეულებრივ მიღებულია, საერთაშორისო საგალუტო ფონდს უფლება აქვს ვეტო დაადონ პროექტის შემოთავაზებულ ბიუჯეტს. ამ შემთხვევაში სსფ უფრო მეტად დაინტერესებულია ფულის მიმოქცევის კონტროლით, ვიდრე ბიუჯეტის შინაარსობრივი მხარით.



# სქემა №1 MTEF პროცესი



მაისი/ივნისი

ივლისი

აგვისტო

სექტემბერი

ოქტომბერი/ნოემბერი

2002 წლის ბიუჯეტის მოსამზადებელი დრო სამწუხაროდ საკმაოდ შეზღუდული იყო. ძირითადი ეტაპები ასე განაწილდა:

**ცხრილი №25. 2002 წლის ბიუჯეტის მომზადების ეტაპები**

აქტივობა	თარიღი
1. სამუშაო შეხვედრები სტრატეგიის გადახედვის მიზნით	17-29 სექტემბერი, 2001
2. სტრატეგიის გადახედვის ანგარიშის წარდგენა	27 სექტემბერი, 2001
3. სტრატეგიული გეგმის გადახედვა და ხარჯების შეფასება	10-12 ოქტომბერი, 2001
4. ჭერებით განსაზღვრული ბიუჯეტის ძირითადი მიმართულებები	12 ოქტომბერი, 2001
5. სახელმწიფო სტრუქტურების მიერ ფინანსთა სამინისტროსათვის მიახლოებითი პროგნოზების წარდგენა	22 ოქტომბერი, 2001
6. საბიუჯეტო მოსმენები სახელმწიფო სტრუქტურებში	29 ოქტომბერი–2 ნოემბერი, 2001
7. სახელმწიფო სტრუქტურების მიერ ფინანსთა სამინისტროსათვის საბოლოო პროგნოზების წარდგენა	12 ნოემბერი, 2001
8. ფინანსთა სამინისტროს მიერ საბოლოო პროგნოზების შეჯამება	13-18 ნოემბერი, 2001
9. მიახლოებითი პროგნოზის მინისტრთა კაბინეტისათვის წარდგენა	19 ნოემბერი, 2001
10. მიახლოებითი საბოლოო პროგნოზის პარლამენტისათვის წარდგენა	30 ნოემბერი, 2001

როგორც ცნობილია, MTEF გათვლილია სამ წელიწადზე, ანუ იგი წარმოადგენს პირველი წლის დეტალურ ბიუჯეტს და დანარჩენი ორი წლის მიახლოებით მაჩვენებლებს. აღნიშნული მიახლოებითი მაჩვენებლები გამოითვლება ცალკეული სამინისტროს სტრატეგიული გეგმის შესაბამისად.

2002-2004 წლის ბიუჯეტის პროგნოზების მომზადებისას სახელმწიფო სტრუქტურებს ევალებოდათ გაეთვალისწინებინათ მათ მიერ დაგეგმილი 2001-2003 MTEF-ში ასახული საქმიანობები, ანუ ის დაგეგმილი აქტივობები, რომლებიც ასახული იყო 2001-2003 წლების MTEF-ში და პრაქტიკულად არ განხორციელებულა, აუცილებლად უნდა იქნეს მოცემული 2002-2004 წლის MTEF-ში თუ ის ჯერ კიდევ შეესაბამება განას სიღარიბის დაძლევის სტრატეგიას (GPRS).

სამი წლით ადრე გაკეთებული პროგნოზით გათვლით მიახლოებით ციფრებს დიდი ყურადღება არ ექცევა იმდენად, რამდენადაც უფრო მნიშვნელოვანია იმ სამომავლო შედეგების ხედვა, რასაც აწმყოში დანერგილი სტრატეგია მოიტანს. კონკრეტული ციფრობრივი მონაცემები ასევე ზუსტ გათვლებს ვერ უზრუნველყოფენ, რადგანაც გასათვალისწინებელია ისეთი ფაქტორები, როგორცაა ინფლაცია და სხვა. 2001 წლის მარტში განაში ინფლაციის დონემ პიკს მიაღწია და 41.9 პროცენტი შეადგინა. ამ მიზეზის გამო უშედეგო იყო MTEF-ით გათვლილი ციფრებისა და რეალური მაჩვენებლების შედარება, თუმცა ამ ფაქტმა გამოავლინა MTEF-ის უფრო ღრმად დანერგვის აუცილებლობა რათა წინასწარ მომხდარიყო ინფლაციის პროგნოზირება. მეორე ფაქტორი, რომელიც ასევე აძნელებს გათვლების გაკეთებას, არის ვალუტის კურსის ცვალებადობა. განა ქვეყანაა, სადაც სახელმწიფო შემოსავლებს ფართოდ განაგებს მასში მიმდინარე სავაჭრო ურთიერთობები. აქედან გამომდინარე მნიშვნელოვანია ამ კუთხით შენარჩუნდეს სტაბილურობა.

სხვადასხვა სახელმწიფო სტრუქტურებს ასევე ევალებათ წინასწარ წარმოადგინონ ფინანსური სახსრების მიმოქცევის გრაფიკი, რათა ფინანსთა სამინისტრომ ადრევე დაადგინოს ფინანსური სახსრების უკმარისობა გარკვეულ სექტორში და მიაწოდოს შესაბამისი თანხები შესაბამის სტრუქტურას.

ბიუჯეტის და MTEF-ის სტრუქტურა ფრთხილად იქნა დამუშავებული და მრავალჯერ მოდიფიცირებული, რათა სრულ შესაბამისობაში ყოფილიყვნენ

ერთმანეთთან. MTEF-ის საბოლოო სტრუქტურა ასე ჩამოყალიბდა: იგი ძირითადად ეყრდნობა 5 ფუნქციონალურ ჯგუფს:

- ადმინისტრაცია;
- ეკონომიკური მომსახურება;
- ინფრასტრუქტურა;
- სოციალური მომსახურება
- საზოგადოებრივი უსაფრთხოება.

ერთობლივად მოიცავს ხმის მიცემის უფლების მქონე 37 ერთეულს. თითოეული ხმა კი შედგება რამოდენიმე სუბ-პროგრამისაგან (მომსახურების გაფართოება), მიზნებისაგან (სასოფლო-სამეურნეო ეფექტურობის გაზრდა, სიღარიბის დაძლევა) და შედეგისაგან.

ბიუჯეტი ეკონომიკური კლასიფიკაციის მიხედვით შედგება ოთხი ჯგუფისაგან:

1. მუშა-მოსამსახურეთა შრომის ანაზღაურება;
2. ადმინისტრაციული ხარჯები;
3. მომსახურების ხარჯები;
4. საინვესტიციო ხარჯები.

პირველ და მეორე პუნქტების დაგეგმვის უფლება მხოლოდ ფინანსთა სამინისტროს აქვს, ხოლო მესამე და მეოთხე პუნქტების საბოლოო მაჩვენებელს შესაბამისი მხარჯავი ერთეული წარადგენს. აღნიშნული ხმების მეშვეობით ეკონომიკური კლასიფიკაციით 4 ჯგუფად დაკომპლექტებული ხარჯები ნაწილდება ხუთ ფუნქციონალურ ჯგუფზე.

**ცხრილი №26. განას პრიორიტეტები 2001 წლის ბიუჯეტისათვის**

	<b>ჯანდაცვა</b>	<b>განათლება</b>	<b>სოფლის მეურნეობა</b>	<b>თავდაცვა</b>
<b>მიზანი</b>	ჯანდაცვის მომსახურების ხელმისაწვდომობის გაზრდა	განათლების ხელმისაწვდომობისა და ღონის გაზრდა	ეფექტური მენეჯმენტის დანერგვა და ინფორმაციული უზრუნველყოფა	განას სახელმწიფო ჯარის პროფესიულ-ადმინისტრაციული განვითარება
<b>ღონისძიება</b>	ინფრასტრუქტურის განახლება	სახელმწიფოს მიერ ინფრასტრუქტურით უზრუნველყოფა და კერძო სექტორის გააქტიურება	500 საინფორმაციო პუბლიკაციის გამოცემა ყოველწლიურად.	საზღვაო ნავსადგურის განახლება სეკონდში
<b>შედეგი</b>	ჯანდაცვის ინფრასტრუქტურის რეაბილიტაცია	2003 წლისთვის დაწყებით სკოლებში ჩართულობის საშუალო მაჩვენებელი 70%-მდე გაიზარდა	ფერმერების ხარისხიანი აღჭურვილობით მომარაგება	გემების ადგილობრივად განახლების უზრუნველყოფა

დაგეგმარების ინსტრუქციების თანახმად, სახელმწიფო სტრუქტურებმა იმგვარი სტრატეგიები უნდა წარადგინონ, რომლებიც შესაბამისობაში იქნებიან როგორც წლიურ ბიუჯეტთან, ასევე MTEF-თან. ინსტრუქცია ასევე ითვალისწინებს იმ დოკუმენტების ჩამონათვალსაც, რომელიც უნდა წარადგინონ სახელმწიფო სტრუქტურებმა პროგნოზირებულ მაჩვენებლებთან ერთად:

- სტრატეგიული გეგმა, რომელიც ასევე შეიცავს მისიის დებულებას, მიზნებს, ღონისძიებებს (მაგ. სიღარიბის დაძლევის მიზნით გასატარებელი ღონისძიებები);
- პრიორიტეტების მიხედვით გაწერილი მიზნები;
- პირველადი გაანგარიშების ჭერების მიხედვით დადგენილი მიახლოებითი შედეგებისა და ღონისძიებების აღწერილობა;
- პროგნოზის ლოგიკური დასაბუთება.

იმ შემთხვევაში, თუ სახელმწიფო სტრუქტურა ცვლის თავის სტრატეგიას, მაშინ მან ასევე უნდა დააკონკრეტოს, გამოიწვევს თუ არა ეს


- მისი მიზნებისა და ამოცანების მოდიფიცირებას;
- აღნიშნული სახელმწიფო სტრუქტურის პასუხისმგებლობის შემცირებას/გაზრდას;

- ხარჯების გადანაწილების სტრუქტურის ცვლილებას (მაგალითად, ფინანსური სახსრების გადანაცვლება კვლევიდან პროგრამის გაფართოებაზე და ა.შ.);
- არსებული რესურსების გათვალისწინებით ოპერაციული და კაპიტალური ხარჯების ხვედრითი წილის ცვლილებას სამი წლის განმავლობაში. ამავე დროს უნდა დადგინდეს, არის თუ არა საჭირო დამატებითი ფინანსური სახსრები განახლებული სტრატეგიით გათვალისწინებული ღონისძიებების განსახორციელებლად და ხელმისაწვდომია თუ არა ეს პირველადი გაანგარიშების ჭერებით.

განას სიღარიბის დაძლევის სტრატეგია მოიცავს როგორც ერთობლივ, ასევე ცალკეული დარგების მიმართ შემუშავებულ სტრატეგიებს. შესაბამისმა სამსახურებმა უნდა მოახდინონ აღნიშნული სტრატეგიების ინტეგრირება საკუთარ გეგმაში, საბოლოოდ კი შესაბამისობაში უნდა მოიყვანონ როგორც წლიურ ბიუჯეტთან, ასევე MTEF-თან.

მოცემული სქემა გვიჩვენებს წლიური ბიუჯეტისა და MTEF-ის შედგენის პროცესს საკვებისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს (MOFA) მაგალითზე, რომელიც განას სიღარიბის დაძლევის სტრატეგიის ითვალისწინებს (GPRS).

სქემა №2. საკვებისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს მიერ წლიური



თუ სახელმწიფო სტრუქტურების მიერ წარდგენილი პროგნოზირებული მონაცემები აჭარბებს ფინანსთა სამინისტროს მიერ მოცემულ ჭერებს, მაშინ ეს უკანასკნელი თხოვს თავიდან გადაიხედოს და პრიორიტეტების გათვალისწინებით მაქსიმალურად შემცირდეს სახელმწიფო სტრუქტურის ხარჯები. საბოლოო წარმოდგენილი პროგნოზი კი წარმოადგენს მინისტრთა კაბინეტის განხილვის საგანს. მიღებული ბიუჯეტის ცვლილება კი ძირითადად ორი მიზეზის გამო ხდება:

1. ხელფასის მომატებასთან დაკავშირებული დამატებითი დანახარჯები;
2. სარესურსო მარაგის არასწორი თავდაპირველი შეფასება.

1999 წელს მოხდა MTEF-ის პირველი შეფასება PUFMARF-ის მიერ (საზოგადოებრივი ფინანსების მენეჯმენტის ინტეგრირებული ძირეული რეფორმა). დასკვნა, რომელიც მათ გააკეთეს, იყო შემდეგი: “არაჩვეულებრივი შედეგებია უკვე მიღწეული. პოზიტიური შედეგები, რომელიც MTEF-ის

დანერგვამ გამოიწვია, არც ერთ ქვეყანაში არ განხორციელებულა ასე მოკლე დროში. პირველივე შეხედვით ჩანს, რომ აღნიშნული პროექტის დანერგვა წინ გადადგმული ნაბიჯია, თუმცა გარანტია იმისა, რომ წარმატებას აუცილებლად მივალწევთ, არ არის. ამისათვის ჯერ კიდევ ბევრი სამუშაოებია შესასრულებელი.”

წარმატებული შედეგების ერთ-ერთ წინაპირობას ასევე წარმოადგენდა გზამკვლევი, რომელიც გამოიცა სახელმწიფო სტრუქტურებისათვის და რომელშიც ასახული იყო MTEF-ის დანერგვის ძირითადი პარამეტრები და სხვა დეტალები.

ზოგადი მუხლობრივი რეკომენდაციები, რომლებიც განაში ხარჯების საშუალოვადინი დაგეგმარების გამოცდილებამ გვიჩვენა ასეთია:

- პროექტები, რომლებიც MTEF-ის პარალელურად ხორციელდება და ურთერთდამოკიდებულია, ძალზედ მნიშვნელოვანია მათი დანერგვის გეგმების ურთიერთშეთანხმებულად გაწერა. მაგალითად, განაში MTEF-ის დანერგვის პარალელურად ასევე მიმდინარეობდა სამოქალაქო მომსახურების რეფორმის დანერგვა, რომელიც განუყოფელია MTEF-ისაგან. ისინი მედლის ორ მხარეს წარმოადგენენ: აზრს კარგავენ თუ რომელიმე მათგანი შეფერხებულია;
- MTEF-ის დანერგვასთან დაკავშირებული ნებისმიერი პროცედურა თუ გეგმა წინასწარ უნდა იყოს კარგად შემუშავებული და დროში გაწერილი. ასევე დიდი ყურადღება უნდა მიექცეს ისეთ ერთი შეხედვით წვრილმან ფაქტორებს, როგორიცაა MTEF-ის დანერგვის თანმდევი დოკუმენტაციის ნიმუშების დამუშავებას და სხვა;
- MTEF-ის დანერგვა უნდა მოხდეს არა როგორც გარკვეული პროექტისა, არამედ როგორც ძირეული რეფორმის, რაც გულისხმობს იმას, რომ ამ პროცესში უნდა ჩაებას უკლებლივ ყველა სახელმწიფო სტრუქტურა და შესაბამისი ორგანიზაციები;



- დაგეგმარების პროცესის განმავლობაში აუცილებელია დარგობრივი ხარჯები შეესაბამებოდეს ფინანსთა სამინისტროს მიერ წარმოდგენილ ჭერებს. განას გამოცდილება გვიჩვენებს, რომ ბიუჯეტის შემოსავალის ნაწილი უფრო აკურატულადაა დაგეგმილი, ხარჯები კი უმეტესწილად აჭარბებს დაგეგმილ მაჩვენებელს.
- MTEF-ის დანერგვა არ შეიძლება მოხდეს იზოლირებულად. საჭიროა გატარდეს ყველა ის რეფორმა, რაც შემაფერხებელი ფაქტორების მოქმედებას უზრუნველყოფენ.

## დანართი

**დანართი №1. საქართველოს საგარეო სავაჭრო ბალანსი 2005 წლის 6 თვეში**

(ათასი ლარი)

	<b>ექსპორტი</b>	<b>იმპორტი</b>	<b>სალდო</b>
<b>საგარეო სავაჭრო ბალანსი, სულ</b>	<b>374206.8</b>	<b>960449</b>	<b>-586242</b>
მათ შორის:			
<b>დსთ-ის ქვეყნებთან</b>	<b>172890</b>	<b>381929</b>	<b>-209039</b>
აქედან:			
აზერბაიჯანი	45533.2	87338.5	-41805.3
ბელარუსი	718.4	3266	-2547.6
თურქმენეთი	32784.5	16937.1	15847.4
მოლდოვა	71	1426.9	-1355.8
რუსეთი	63114.7	159423	-96308
სომხეთი	14875.8	19630.7	-4754.9
ტაჯიკეთი	1728.6	35.1	1693.5
უზბეკეთი	1284.6	1770.7	-486
უკრაინა	10063.8	85732.9	-75669
ყაზახეთი	2569.9	6118.8	-3548.9
ყირგიზეთი	145.4	249.8	-104.4
<b>ევროკავშირის ქვეყნებთან</b>	<b>56994</b>	<b>266625</b>	<b>-209631</b>
აქედან:			
ავსტრია	272.8	8011.8	-7739
ბელგია	2000.3	10128.5	-8128.1
გაერთიანებული სამეფო	13385.6	34590.9	-21205.3
გერმანია	8200.8	80868.8	-72668
დანია	42.9	3897.3	-3854.4
ესპანეთი	5527.7	3363.3	2164.4
ესტონეთი	1315.5	217.4	1098.1
ირლანდია	5.4	1408.6	-1403.2
იტალია	8810.1	23520.8	-14710.7
კვიპროსი	102.8	767.8	-665
ლატვია	431.5	2550.6	-2119.1
ლიტვა	462.6	2063.9	-1601.3
ლუქსემბურგი	-	480.8	-480.8
მალტა	7.1	-	7.1
ნიდერლანდები	7126.1	20769.5	-13643.4
პოლონეთი	526.8	6802	-6275.1
პორტუგალია	189.5	1718.1	-1528.6
საბერძნეთი	4398.6	7400.8	-3002.2
საფრანგეთი	2719.8	29825.3	-27105.5
სლოვაკეთი	381.9	1242.1	-860.2
სლოვენია	-	1794.9	-1794.9

	ექსპორტი	იმპორტი	სალდო
უნგრეთი	-	5902.8	-5902.8
ფინეთი	-	7365.7	-7365.7
შვედეთი	7.9	5569.3	-5561.4
ჩეხეთი	1078.3	6363.9	-5285.6
<b>სსგა ქვეყნებთან</b>	<b>144322.8</b>	<b>311895</b>	<b>-167573</b>
აქედან:			
ავსტრალია	15.3	2021.9	-2006.6
ავღანეთი	71	1.9	69.1
ალბანეთი	29.1	-	29.1
ალჟირი	-	3.5	-3.5
ანდორა	-	68	-68
არაბთა გაერთიანებული ემირატები	1496.1	28023.7	-26527.6
არგენტინა	1.7	503.1	-501.4
აშშ	8585.1	42054.3	-33469.2
ახალი ზელანდია	-	955.1	-955.1
ბარბადოსი	-	1.7	-1.7
ბაჰამები	0.6	-	0.6
ბაჰრეინი	2.3	-	2.3
ბელიზი	36	-	36
ბერმუდა	-	70.1	-70.1
ბოსნია-ჰერცეგოვინა	-	1097.9	-1097.9
ბრაზილია	-	14326.5	-14326.5
ბულგარეთი	19551.1	25176.5	-5625.4
გვინეა	-	38.5	-38.5
გიბრალტარი	169.8	-	169.8
გრენადა	-	21.3	-21.3
დომინიკა	1916	420.6	1495.4
დომინიკელთა რესპუბლიკა	-	1105	-1105
ეგვიპტე	1111.4	488.2	623.2
ეკვადორი	-	1208.9	-1208.9
ეკვატორული გვინეა	-	1	-1
ერაყი	145.2	-	145.2
ვიეტნამი	256.3	130.6	125.7
ვირჯინის კუნძულები, აშშ	0.8	1211.1	-1210.3
ვირჯინის კუნძულები, ბრიტანეთი	-	58.5	-58.5
ზამბია	-	2	-2
თურქეთი	73879.6	122061	-48181.3
იაპონია	912.8	2934.8	-2022
ინდოეთი	1145.6	3464	-2318.4

	ექსპორტი	იმპორტი	სალდო
ინდონეზია	-	547.9	-547.9
იორდანია			-4.2
ირანი	2675	8047.1	-5372.1
ისლანდია	-	45	-45
ისრაელი	431.6	1436.5	-1004.9
კაიმანის კუნძულები	0.9	-	0.9
კამბოჯა	0.8	1.9	-1.2
კანადა	14550.7	2576.5	11974.2
კენია	4.2	68.4	-64.2
კოლუმბია	-	3977.3	-3977.3
კორეა	2071.7	1621.5	450.2
კორეის სახალხო დემოკრატიული რესპუბლიკა	24.6	94.6	-70
კოტდივუარი	-	3.6	-3.6
ლიბანი	-	4.4	-4.4
ლიბერია	8.8	-	8.8
ლიხტენშტაინი	85.5	37.8	47.7
მაკედონია	40.5	10.1	30.4
მალაიზია	-	199	-199
მექსიკა	3349.3	12.7	3336.7
მონაკო	-	13.9	-13.9
მონგოლეთი	166.3	-	166.3
ნეპალი	-	1.9	-1.9
ნიგერია	-	6.6	-6.6
ნიდერლანდების ანტილები	-	3.4	-3.4
ნორვეგია	51.4	1100.4	-1049
ომანი	72.6	104.4	-31.8
პაკისტანი	38.3	14.7	23.6
პანამა	3.4	117.5	-114.1
რუანდა	4.3	0.2	4.1
რუმინეთი	2374.3	16011	-13636.7
სალვადორი	-	85	-85
სამხრეთი აფრიკა	6	994.7	-988.7
საუდების არაბეთი	-	8	-8
სეიშელები	3292.5	120.2	3172.3
სენეგალი	-	13	-13
სერბია-მონტენეგრო	938	565.4	372.6
სინგაპური	923.3	562.6	360.7
სირია	-	399.1	-399.1
ტაივანი	163.3	1051	-887.7
ტაილანდი	-	532.6	-532.6

	ექსპორტი	იმპორტი	საღდო
ტანზანია	0.6	-	0.6
ფილიპინები	3.4	-	3.4
ქუვეითი	-	29.1	-29.1
ყატარი	143.8	-	143.8
შვეიცარია	1240.7	8154.8	-6914.1
შრილანკა	-	216.2	-216.2
ჩინეთი	2315.9	14451.4	-12135.5
ზორვატია	7.4	960.8	-953.4
ჰონკონგი	8	239.2	-231.3

დანართი №2. 2005 წლის 6 თვის საქართველოს პრეზიდენტის სარეზერვო ფონდი

(ლარებში)

№	დოკუმენტის თარიღი და ნომერი	დასახელება	გამოყოფილი თანხა	გადარიცხულია	გადახრა
1	პრეზიდენტის განკარგულება №41-გ 04-02-05	პრეზიდენტის ადმინისტრაცია (პრემიერ-მინისტრ ზურაბ ჟვანიას დაკრძალვის ღონისძიებათა დასაფინანსებლად)	45,000	35,333	-9,667
2	პრეზიდენტის განკარგულება №51 14-02-05	კულტურის, ძეგლთა დაცვისა და სპორტის სამინისტრო (ედიშერ მაღალაშვილისა და ქართლოს კასრაძის ოჯახებისათვის ფინანსური დახმარება)	6,000	6,000	0
3	პრეზიდენტის განკარგულება №88 16-02-05	განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო - თბილისის მუსიკალური საშუალო სკოლა-ინტერნატი (კადეტთა კორპუსის სასწავლო პროცესის შეუფერხებელი წარმართვისათვის)	100,000	100,000	0
4	პრეზიდენტის განკარგულება №52 14-02-05	შინაგან საქმეთა სამინისტრო (საზღვარგარეთის ფირმებთან დადებული ხელშეკრულებების საფუძველზე შემოტანილი ტვირთის და საჩუქრების სახით მიღებული საქონლის განბაჟებისათვის)	451,210	451,210	0

№	დოკუმენტის თარიღი და ნომერი	დასახელება	გამოყოფილი თანხა	გადარიცხულია	გადახრა
5	პრეზიდენტის განკარგულება №129 28-02-05	პრეზიდენტის ადმინისტრაცია (საქართველოს პრეზიდენტის იტალიაში ოფიციალურ ვიზიტთან დაკავშირებული დელეგაციის შემადგენლობაში მყოფი პარლამენტის წევრების მივლინების ხარჯები)	33,100	15,915	-17,185
6	პრეზიდენტის განკარგულება №184 16-03-05	კულტურის, ძეგლთა დაცვისა და სპორტის სამინისტრო - საერთაშორისო კულტურული ურთიერთობების მხარდაჭერის სახელმწიფო პროგრამა (უკრაინაში „საქართველოს წელიწადის“ გახსნასთან დაკავშირებით, ქართველი ხელოვნების მოღვაწეთა გალა-კონცერტის ჩასატარებლად)	148,605	148,605	0
7	პრეზიდენტის განკარგულება №183 16-03-05	ფინანსთა სამინისტრო - მოსახლეობის მხარდაჭერა საგაზაფხულო სახნაუ- სათესი სამუშაოების ჩასატარებლად (საწვავის შესაძენად)	13,560,000	13,560,000	0
8	პრეზიდენტის განკარგულება №185 16-03-05	ფინანსთა სამინისტრო - საქართველოს მთავრობისათვის გაწეული საკონსულტაციო მომსახურების დაფინანსება	694,600	220,500	-474,100
9	პრეზიდენტის განკარგულება №202 22-03-05	საქართველოს პარლამენტი (პარლამენტის წევრების მივლინება უკრაინაში)	12,500	12,500	0
10	პრეზიდენტის განკარგულება №234 29-03-05	საქართველოს პარლამენტი (პარლამენტის წევრების მივლინება ყაზახეთში)	9,500	9,500	0
11	პრეზიდენტის განკარგულება №05-ს 24-03-05	თავდაცვის სამინისტრო	6,313,800	6,244,115	-69,685

№	დოკუმენტის თარიღი და ნომერი	დასახელება	გამოყოფილი თანხა	გადარიცხულია	გადახრა
12	პრეზიდენტის განკარგულება №245 04-04-05	ტრანსფერი სხვა ტერიტორიული ერთეულების ბიუჯეტებში (გორის რ-ნის გამგეობა) - ქ. გორში განხორციელებული ტერორისტული აქტის შედეგად მიყენებული ზიანის ასანაზღაურებლად	94,000	94,000	0
13	პრეზიდენტის განკარგულება №197 21-03-05	ეროვნული უშიშროების საბჭოს აპარატი (II კვარტალი)	25,335	25,315	-20
14	პრეზიდენტის განკარგულება №214 23-03-05	სახელმწიფო დაცვის სპეციალური სამსახური	767,860	759,736	-8,124
15	პრეზიდენტის განკარგულება №388 20-05-05	კულტურის, ძეგლთა დაცვისა და სპორტის სამინისტრო - საერთაშორისო კულტურული ურთიერთობების მხარდაჭერის სახელმწიფო პროგრამა (საქართველოს დამოუკიდებლობის დღის - 26 მაისის აღნიშვნის ღონისძიება)	131,577	131,577	0
16	პრეზიდენტის განკარგულება №394 21-05-05	პრეზიდენტის ადმინისტრაცია - დ. ფაილოძის ერთჯერადი დახმარება	3,000	3,000	0
17	პრეზიდენტის განკარგულება №398 23-05-05	პრეზიდენტის ადმინისტრაცია - ა. კოზაევის ერთჯერადი დახმარება	20,000	0	-20,000
18	პრეზიდენტის განკარგულება №314 28-04-05	პარალამენტი (ვიზიტი ნიდერლანდის სამეფოში)	28,201	28,201	0
19	პრეზიდენტის განკარგულება №431 02-06-05	სხვა ტერიტორიული ერთეულების ბიუჯეტებში - მესტიის რ-ნის გამგეობას მესტიაში მომხდარი ავტოკატასტროფის შედეგების სალიკვიდაციო ღონისძიებებისათვის	7,000	7,000	0
20	პრეზიდენტის განკარგულება №415 28-05-05	ფინანსთა სამინისტროს საქართველოს საპატრიარქოსათვის გადასაცემად	200,000	200,000	0



№	დოკუმენტის თარიღი და ნომერი	დასახელება	გამოყოფილი თანხა	გადარიცხულია	გადახრა
21	პრეზიდენტის განკარგულება №458 07-06-05	კულტურის, ძეგლთა დაცვისა და სპორტის სამინისტრო - სპორტულ სახეობათა განვითარების სახელმწიფო ხელშეწყობის მიზნობრივი პროგრამა - ყარაყორუმის ექსპედიციაში ქართული მხარის წარმომადგენლობის თაობაზე (გია თორთლაძის ყარაყორუმის საერთაშორისო ექსპედიციაში მონაწილეობის უზრუნველსაყოფად)	21,900	21,900	0
22	პრეზიდენტის განკარგულება №520 30-06-05	საქართველოს პარლამენტი - საქართველოს პარლამენტის წევრის გ. ბოკერიას აშშ-ში მგზავრობის ხარჯები	6,118	0	-6,118
		<b>სულ ჯამი</b>	<b>22,679,306</b>	<b>22,074,406</b>	<b>-604,900</b>

დანართი №3. 2005 წლის 6 თვის საქართველოს მთავრობის სარეზერვო  
ფონდი

(ლარებში)

№	დოკუმენტის თარიღი და ნომერი	დასახელება	გამოყოფილი თანხა	გადარიცხულია	გადახრა
1	მთავრობის განკარგულება №1 12-01-05	ფინანსთა სამინისტრო - აზიაში სტიქიური უბედურების შედეგად დაზარალებული მოსახლეობის დახმარება	100,000	100,000	0
2	მთავრობის განკარგულება №16 24-02-05	ენერგეტიკის სამინისტრო - გაზის საერთაშორისო კორპორაციის მიერ ყაზბეგის რაიონისათვის მიწოდებული ბუნებრივი აირის ღირებულების ანაზღაურების ღონისძიება	800,000	800,000	0

№	დოკუმენტის თარიღი და ნომერი	დასახელება	გამოყოფილი თანხა	გადარიცხულია	გადახრა
3	მთავრობის განკარგულება №15 24-02-05	საზღვარგარეთ საქართველოს დიპლომატიური დაწესებულებები (საელჩო საბერძნეთის რესპუბლიკაში - 4500.00 ლარი; იორდანის ჰაშიმიტურ სამეფოში, ლიბანის რესპუბლიკაში, ქუვეითისა და გაერთიანებულ არაბთა ემირატებში - 4413.00 ლარი.) - სატვირთო გემ „ENI“-ის დაზიანების შედეგად დაზარალებული ეკიპაჟის ქართველ წევრთა სამშობლოში გამოსამგზავრებელი ხარჯებისათვის	8,913	8,913	0
4	მთავრობის განკარგულება №22 24-02- 05	ეკონომიკური განვითარების სამინისტრო - ტურიზმისა და კურორტების დეპარტამენტის პროგრამები	469,386	91,077	-378,309
5	მთავრობის განკარგულება №78 26-03-05	ენერგეტიკის სამინისტრო - გაზის საერთაშორისო კორპორაციის მიერ ყაზბეგის რაიონისათვის მიწოდებული ბუნებრივი აირის ღირებულების ანაზღაურების ღონისძიება	1,200,000	1,200,000	0
6	მთავრობის განკარგულება №78 26-03-05	ენერგეტიკის სამინისტრო - სს „დუშეთგაზის“ მიერ დუშეთის რაიონისათვის მიწოდებული ბუნებრივი აირის ღირებულების ანაზღაურების ღონისძიება	300,000	300,000	0
7	მთავრობის განკარგულება №74 25-03-05	ფინანსთა სამინისტრო - ფონდი - ათასწლეულის გამოწვევა საქართველო (ემ-სი-ჯი)	293,839	293,154	-685
8	მთავრობის განკარგულება №77 26-03-05	სხვა ტერიტორიული ერთეულების ბიუჯეტებში (ლენტეხის რ-ნის გამგეობა) - სტიქიური მოვლენების გამო დაზარალებული ლენტეხის რაიონის მოსახლეობის დახმარება	36,000	36,000	0
9	მთავრობის განკარგულება №90 01-04- 05	სამოქალაქო ინტეგრაციის საკითხებში საქართველოს სახელმწიფო მინისტრის აპარატი	10,000	10,000	0

№	დოკუმენტის თარიღი და ნომერი	დასახელება	გამოყოფილი თანხა	გადარიცხულია	გადახრა
10	მთავრობის განკარგულება №94 05-04-05	ფინანსთა სამინისტროს ცენტრალური აპარატი	147,200	146,300	-900
11	მთავრობის განკარგულება №124 15-04-05 №02-ს 22-04-05	მთავრობის კანცელარია - უცხოეთის ქვეყნების მეთაურთა ვიზიტის დასახვედრი საზეიმო ცერემონიების უმაღლეს დონეზე ორგანიზებისა და გამართვისათვის	2,000,000	1,839,933	-160,067
12	მთავრობის განკარგულება №123 15-04-05; №01-ს 22-04-05	კულტურის, ძეგლთა დაცვისა და სპორტის სამინისტრო - საერთაშორისო კულტურული ურთიერთობების მხარდაჭერის სახელმწიფო პროგრამა	1,144,199	1,144,199	0
13	მთავრობის განკარგულება №125 15-04-05	საქართველოს პარლამენტი - უცხოეთის ქვეყნების მეთაურთა ვიზიტის დასახვედრი საზეიმო ცერემონიების უმაღლეს დონეზე ორგანიზებისა და გამართვისათვის	500,000	431,119	-68,881
14	მთავრობის განკარგულება №97 07-04-05	პრეზიდენტის სახელმწიფო რწმუნებულის აპარატი სამეგრელოსა და ზემო სვანეთის მხარეში (II კვარტალი)	14,400	12,591	-1,809
15	მთავრობის განკარგულება №97 07-04-05	პრეზიდენტის სახელმწიფო რწმუნებულის აპარატი გურიის მხარეში (II კვარტალი)	13,300	10,900	-2,400
16	მთავრობის განკარგულება №97 07-04-05	პრეზიდენტის სახელმწიფო რწმუნებულის აპარატი იმერეთის მხარეში (II კვარტალი)	15,600	15,600	0
17	მთავრობის განკარგულება №97 07-04-05	პრეზიდენტის სახელმწიფო რწმუნებულის აპარატი კახეთის მხარეში (II კვარტალი)	15,200	15,200	0
18	მთავრობის განკარგულება №97 07-04-05	პრეზიდენტის სახელმწიფო რწმუნებულის აპარატი მცხეთა-მთიანეთის მხარეში (II კვარტალი)	18,000	17,977	-23
19	მთავრობის განკარგულება №97 07-04-05	პრეზიდენტის სახელმწიფო რწმუნებულის აპარატი რაჭა-ლეჩხუმის მხარეში (II კვარტალი)	14,900	14,900	0

№	დოკუმენტის თარიღი და ნომერი	დასახელება	გამოყოფილი თანხა	გადარიცხულია	გადახრა
20	მთავრობის განკარგულება №97 07-04-05	პრეზიდენტის სახელმწიფო რწმუნებულის აპარატი სამცხე-ჯავახეთის მხარეში (II კვარტალი)	16,300	16,264	-36
21	მთავრობის განკარგულება №97 07-04-05	პრეზიდენტის სახელმწიფო რწმუნებულის აპარატი ქვემო ქართლის მხარეში (II კვარტალი)	22,000	22,000	0
22	მთავრობის განკარგულება №97 07-04-05	პრეზიდენტის სახელმწიფო რწმუნებულის აპარატი შიდა ქართლის მხარეში (II კვარტალი)	22,900	22,900	0
23	მთავრობის განკარგულება №106 12-04-05	მთავრობის კანცელარია - დსთ-ს წევრი სახელმწიფოების მთავრობათა მეთაურების საბჭოს სხდომის მოწყობის ხარჯებისათვის	354,528	307,994	-46,534
24	მთავრობის განკარგულება №122 14-04-05	სხვა ტერიტორიული ერთეულების ბიუჯეტებში (ამბროლაურისა და ლენტეხის რ-ნის გამგეობა) - სტიქიური მოვლენების გამო დაზარალებული ამბროლაურისა და ლენტეხის რაიონის მოსახლეობის დახმარება	15,000	15,000	0
25	მთავრობის განკარგულება №118 14-04-05	ეკონომიკური განვითარების სამინისტრო	378,400	178,054	-200,346
26	მთავრობის განკარგულება №117 14-04-05	ფინანსთა სამინისტრო	173,850	173,850	0
27	მთავრობის განკარგულება №132 17-04-05	მთავრობის კანცელარია - ირანის ისლამური რესპუბლიკის ვიცე-პრეზიდენტის ვიზიტთან დაკავშირებული ხარჯებისათვის	68,000	25,995	-42,005
28	მთავრობის განკარგულება №133 17-04-05	პრეზიდენტის სახელმწიფო რწმუნებულის აპარატი მცხეთა-მთიანეთის მხარეში (II კვარტალი)	20,000	16,403	-3,597
29	მთავრობის განკარგულება №140 22-04-05	ვეტერანთა საქმეების ღებარტამენტი	200,000	182,179	-17,821

№	დოკუმენტის თარიღი და ნომერი	დასახელება	გამოყოფილი თანხა	გადარიცხულია	გადახრა
30	მთავრობის განკარგულება №129 17-04- 05	სხვა ტერიტორიული ერთეულების ბიუჯეტებში (მესტიის რაიონის გამგეობა)	30,000	30,000	0
31	მთავრობის განკარგულება №148 22-04- 05	უმაღლეს სასწავლებლების საგანმანათლებლო პროგრამა ი. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ბაზაზე (აფხაზეთიდან დევნილი ახალგაზრდობის ექსპერიმენტული კინოჯგუფის 2004-2005 სასწავლო წელს საუნივერსიტეტო განათლების მისაღებად საჭირო ასიგნებები)	12,000	0	-12,000
32	მთავრობის განკარგულება №143 22-04- 05	ფინანსთა სამინისტრო - მოსახლეობის მხარდაჭერა საგაზაფხულო სახნაგ-სათესი სამუშაოების ჩასატარებლად	1,148,446	1,148,446	0
33	მთავრობის განკარგულება №131 17-04- 05	საზღვარგარეთ საქართველოს დიპლომატიური დაწესებულებები	20,960	20,960	0
34	მთავრობის განკარგულება №172 08-05- 05	ევროპულ და ევროატლანტიკურ სტრუქტურებში ინტეგრაციის საკითხებში საქართველოს სახელმწიფო მინისტრის აპარატი (II კვ.) - შეუფერხებელი ფუნქციონირებისათვის	98,000	36,146	-61,854
35	მთავრობის განკარგულება №182 11-05- 05	შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს აპარატი	14,800	14,800	0
36	მთავრობის განკარგულება №182 11-05- 05	ვეტერანთა საქმეების სახ. დეპარტამენტის ცენტრალური აპარატი	127,200	92,600	-34,600
37	მთავრობის განკარგულება №182 11-05- 05	თავდაცვის სამინისტრო	95,000	95,000	0
38	მთავრობის განკარგულება №182 11-05- 05	შინაგან საქმეთა სამინისტროს ორგანოები	95,200	95,200	0

№	დოკუმენტის თარიღი და ნომერი	დასახელება	გამოყოფილი თანხა	გადარიცხულია	გადახრა
39	მთავრობის განკარგულება №182 11-05- 05	კულტურის, ძეგლთა დაცვისა და სპორტის სამინისტროს აპარატი	63,600	55,000	-8,600
40	მთავრობის განკარგულება №182 11-05- 05	განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს აპარატი	77,800	77,800	0
41	მთავრობის განკარგულება №182 11-05- 05	იუსტიციის სამინისტროს აპარატი	3,400	3,400	0
42	მთავრობის განკარგულება №182 11-05- 05	კონტროლის პალატა	600	600	0
43	მთავრობის განკარგულება №182 11-05- 05	ეკონომიკური განვითარების სამინისტროს აპარატი	16,800	16,800	0
44	მთავრობის განკარგულება №182 11-05- 05	პარლამენტი	1,200	1,200	0
45	მთავრობის განკარგულება №182 11-05- 05	საერთო სასამართლოების დეპარტამენტის აპარატი	1,200	1,200	0
46	მთავრობის განკარგულება №182 11-05- 05	სოფლის მეურნეობის სამინისტროს აპარატი	3,600	3,600	0
47	მთავრობის განკარგულება №182 11-05- 05	ენერგეტიკის სამინისტროს ცენტრალური აპარატი	600	600	0
48	მთავრობის განკარგულება №182 11-05- 05	გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტროს აპარატი	1,800	1,800	0
49	მთავრობის განკარგულება №182 11-05-5	პროკურატურა	1,200	1,200	0
50	მთავრობის განკარგულება №182 11-05- 05	საგარეო საქმეთა სამინისტროს აპარატი	600	600	0

№	დოკუმენტის თარიღი და ნომერი	დასახელება	გამოყოფილი თანხა	გადარიცხულია	გადახრა
51	მთავრობის განკარგულება №174 08-05-05	კულტურის, ძეგლთა დაცვისა და სპორტის სამინისტრო - კინემატოგრაფიის ეროვნული ცენტრი	20,000	0	-20,000
52	მთავრობის განკარგულება №168 04-05-05	იუსტიციის სამინისტროს აპარატი	30,000	30,000	0
53	მთავრობის განკარგულება №181 11-05-05	ენერგეტიკის სამინისტრო - გაზის საერთაშორისო კორპორაციის მიერ ყაზბეგის რაიონისათვის მიწოდებული ბუნებრივი აირის ღირებულების ანაზღაურების ღონისძიება	1,002,653	1,002,653	0
54	მთავრობის განკარგულება №173 08-05-05	შსს სახელმწიფო საზღვრის დაცვის დეპარტამენტი	500,000	465,316	-34,684
55	მთავრობის განკარგულება №189 20-05-05	მთავრობის კანცელარია	106,712	57,476	-49,236
56	მთავრობის განკარგულება №192 20-05-05	სხვა ტერიტორიული ერთეულების ბიუჯეტებში (ონის რ-ნი 100.0 ათასი ლარი; ცაგერის რ-ნი 50.0 ათასი ლარი)	150,000	150,000	0
57	მთავრობის განკარგულება №190 20-05-05	ლტოლვილთა და განსახლების სამინისტრო - შიდამიგრაციულ პროცესებთან დაკავშირებული ხარჯები	1,200,000	100,000	-1,100,000
58	მთავრობის განკარგულება №197 27-05-05	კულტურის, ძეგლთა დაცვისა და სპორტის სამინისტრო - საერთაშორისო კულტურული ურთიერთობების მხარდაჭერის სახელმწიფო პროგრამა	157,100	157,100	0
59	მთავრობის განკარგულება №130 17-04-05	უზენაესი სასამართლო (II კვარტალი)	184,316	109,928	-74,388
60	მთავრობის განკარგულება №200 27-05-05	კოფლიქტების მოგვარების საკითხებში საქართველოს სახელმწიფო მინისტრის აპარატი (II კვარტალი)	66,400	43,702	-22,698

№	დოკუმენტის თარიღი და ნომერი	დასახელება	გამოყოფილი თანხა	გადარიცხულია	გადახრა
61	მთავრობის განკარგულება №205 27-05- 05	შსს სახელმწიფო საზღვრის დაცვის დეპარტამენტი	500,000	28,890	-471,110
62	მთავრობის განკარგულება №191 20-05- 05	თავდაცვის სამინისტრო	138,000	138,000	0
63	მთავრობის განკარგულება №206 27-05- 05	სახელმწიფო დაცვის სპეციალური სამსახური (II კვარტალი)	7,000	7,000	0
64	მთავრობის განკარგულება №214 31-05- 05	საგარეო საქმეთა სამინისტროს აპარატი	30,000	17,259	-12,741
65	მთავრობის განკარგულება №214 31-05- 05	საზღვარგარეთ საქართველოს დიპლომატიური დაწესებულებები (წარმომადგენლობები), მ. შ. საელჩო იტალიის რესპუბლიკაში - 35000.0 ლ; საელჩო საფრანგეთში - 27823.0 ლ; საელჩო რუსეთის ფედერაციაში - 91350.0 ლ.	154,173	154,173	0
66	მთავრობის განკარგულება №232 09-06- 05	მთავრობის კანცელარია	59,870	27,587	-32,283
67	მთავრობის განკარგულება №207 27-05- 05	იუსტიციის სამინისტრო (II კვარტალი)	28,730	16,730	-12,000
68	მთავრობის განკარგულება №208 27-05- 05	იუსტიციის სამინისტროს სასჯელალსრულების დაწესებულებები	50,570	48,114	-2,456
69	მთავრობის განკარგულება №234 09-06- 05	პრეზიდენტის სახელმწიფო რწმუნებულის აპარატი მცხეთა- მთიანეთის მხარეში	32,700	32,700	0
70	მთავრობის განკარგულება №237 10-06- 05	პრეზიდენტის სახელმწიფო რწმუნებულის აპარატი მცხეთა- მთიანეთის მხარეში	7,202	7,202	0



№	დოკუმენტის თარიღი და ნომერი	დასახელება	გამოყოფილი თანხა	გადარიცხულია	გადახრა
71	მთავრობის განკარგულება №231 09-06- 05	ფინანსთა სამინისტროს საქართველოს საპატრიარქოსათვის გადასაცემედ	170,000	170,000	0
72	მთავრობის განკარგულება №240 10-06- 05	სხვა ტერიტორიული ერთეულების ბიუჯეტებში (დუშეთის რ-ნის გამგეობა) - სტიქიური მოვლენების გამო დაზარალებული დუშეთის რაიონის მოსახლეობის სურსათით უზრუნველსაყოფად	5,000	5,000	0
73	მთავრობის განკარგულება №239 10-06- 05	სხვა ტერიტორიული ერთეულების ბიუჯეტებში (ლენტეხის რ-ნის გამგეობა) - სტიქიური მოვლენების გამო დაზარალებული ლენტეხის რაიონის მოსახლეობის სურსათით უზრუნველსაყოფად	59,000	59,000	0
74	მთავრობის განკარგულება №254 15-06- 05	ფინანსთა სამინისტრო - ფონდი - ათასწლეულის გამოწვევა საქართველო (ემ-სი-ჯი)	290,210	0	-290,210
75	მთავრობის განკარგულება №267 23-06- 05	სხვა ტერიტორიული ერთეულების ბიუჯეტებში - მდინარეთა ნაპირსამაგრი სამუშაოების შესასრულებლად	850,000	200,000	-650,000
		<b>სულ ჯამი</b>	<b>15,985,557</b>	<b>12,173,283</b>	<b>-3,812,273</b>